

# დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ს პ ე ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მონტროს კონვენცია.

ხ. ფირცხალაგა—1924 წლის აჯანყება.

სრუტეების თავისუფლება და საქართველო.

ქ. მარტენი—შვეიცარიის ღირსება.

«სომეხ-ქართველთა უნიონის» მოწოდ. გამო.

ეროვნულ განძეულობის თაობაზე.

ი.—კარლო ჩხეიძის ათი წლის თავი.

უცხოეთის მიმხილვა.

კავკასიის დღესასწაული.

ნაური—წერილი ამერიკიდან. და სხვ.

## მ ო ნ ტ რ ო ს კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა

20 ივლის ხელი მოაწერეს მონტროში სრუტეების ახალ კონვენციას, რომელიც შესცვლის 1923 წლის ლოზანის კონვენციას. ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ ერთი არაჩვეულებრივი ფაქტი ახასიათებს ამ შეთანხმებას. იტალიას არამც თუ ხელი არ მოუწერია მასზედ, ის არც კი დასწრებია მონტროს კონფერენციას. ეს გარემოება საეგებიოდ ხდის თვით კონვენციის კანონიერებას. მართლაც, საერთაშორისო უფლების თანახმად, მხოლოდ ის ხელშეკრულება ითვლება გაუქმებულად, ან კიდევ მის მაგიერ დადებული ხელშეკრულება—კანონიერად, რომელზედაც ხელი უწერიათ ყველა მონაწილეთ უკლებლივ, როგორც ერთისა ისე მეორის. მონტროს პრეცედენტი კარგის მომასწავებელი არ არის ამ არეულ დროს, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებანი ცალმხრივით ირღვევა და ერთა ლიგაც ასეთი სუსტი გამოდგა საერთაშორისო უფლების დაცვაში.

მართალია, იტალიას ადგილი დაუტოვეს მონტროს კონვენციაში, ისე როგორც 1923 წელს რუსეთს ლოზანის კონვენციაში, მაგრამ განსხვავება მაინც დიდია, რადგან პირველს, როგორც ვსთქვით, მონაწილეობა არ მიუღია მონტროში, მაშინ როდესაც მეორემ მიიღო ლოზანაში და შემდეგ კიდევ მოაწერა კონვენციას ხელი. სულაც არაა უზრუნველყოფილი, რომ იტალიაც ასე მოიქცევა, მით უფრო, მას ზურგს უმაგრებს გერმანია, ოსმალების ყოფილი

მოკავშირე დიდ ომში, რომლის მეოხებით 1916 წელს ასეთი დიდი დამარცხება იგემა დარდანელის სრუტეში ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებულმა ფლოტმა.

დასავლეთის დიდ სახელმწიფოებიდან, მეორეს მხრით, იტალია ყველაზე უფრო დაინტერესებულია გეოგრაფიულათ, სტრატეგიულათ და ეკონომიურათ სრუტეების საკითხში. ის არის ყველაზე უფრო მახლობელი, მფლობელი დოდეკანონის გამაგრებულ კუნძულებისა არის იმავე დროს ერთგვარი დარაჯი დარდანელისა და მის სავაჭრო ფლოტს პირველი ადგილი უჭირავს შავ-ზღვასთან მიმოსვლაში.

ცნობილია, რომ იტალიის განზე დგომა ეთიოპიის კონფლიქტმა გამოიწვია, რომლის მეოხებით დიდი ხნის მეგობრები იტალია და ინგლისი ერთმანეთს აეშალენ. მართალია, სანქციები უკვე მოხსნეს იტალიას, ინგლისის თაოსნობით, მაგრამ უკანასკნელმა არ მოისურვა ხმელთა-შუა-ზღვის შეთანხმების გაუქმება იტალიის წინააღმდეგ. ეს შეთანხმებაც საცაა გაჰქრება და, თუ ვახსენებთ, ეს იმიტომ, რომ მონაწილეთა შორის ოსმალეთიც ითვლებოდა, რაიცა მაჩვენებელი იყო იმისი, რომ ინგლისი უზრუნდებოდა თავის ტრადიციულ პოლიტიკას მფარველობისა ოსმალეთის მიმართ.

და ამ მფარველობის პოლიტიკამ ჩქარა იჩინა თავი მონტროში, რის გამო კონფერენციაც რაღმე არ ჩაიფუშა. გახსოვთ, როგორ იმუქრებოდა ლიტ-

ვინოგი კონფერენციის დატოვებას, და რაც გაცილებით უფრო საყურადღებოა, როგორ ილაშქრებდა საბჭოთა პრესა ოსმალეთის წინააღმდეგ «ლაღ-ტისთვის»!

მილიუკოვის გაზეთის თანამშრომელმა ლუკინმა კარგათ და თანაგრძობით განსაზღვრა მოსკოვის დღევანდელი პოზიცია: «ჩვენ ვსთვლით სრუტეების ინტერნაციონალიზაციას ყველაზე ძლიერის სახელმწიფოს გაბატონებად შავ-ზღვაზე. უფლება ჩვენი სამხედრო გემებისა გავიდეს შავი ზღვიდან საკუთარ სახლიდან გამოსვლის უფლებას უდრის; ხოლო უფლება უცხო სამხედრო გემებისა შემოვიდეს შავ ზღვაში ჩვენს სახლში ძალათ შემოქრას უდრის, გაცარცვის მიზნით».

სწორეთ ასეთი იყო რუსეთის პოზიცია რომანოვების დროსაც და რაღა გასაკვირია, თუ ოსმალეთმა თავის თავი უხერხულ მდგომარეობაში იგდნოს. ვის მიეკედლოს, დღევანდელ თუ გუშინდელ თავის მეგობარს? — აი კითხვა, რომელიც დაისვა მის წინ, და, საფრანგეთი რომ არ ჩარეულიყო, ის უთუოთ ინგლისისკენ გადაიხრებოდა საბოლოოთ.

მონტროს კონფერენციის დროს მოხდა ერთი უაღრესათ საყურადღებო ფაქტი: ავსტრიისა და გერმანიის მორიგება იტალიის წინასწარი თანხმობით, რის მეოხებით ისედაც პრობლემატიული საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთ დახმარების პაქტი ფარაქტინა თამასუქად იქცა. საფრანგეთი, რომელიც თავს გარიყულად გრძობდა გერმანიისა და იტალიის დაახლოებით, მოსთხოვდა ინგლისს სრუტეების გზით მანც დაენებებია მისთვის საფრანგეთ-რუსეთის პაქტის განადგება. ბოლდვინის მთავრობა, დიდი ყოყმანის შემდეგ, აქულებული შეიქნა დაეთმო.

მაგრამ ეს დათმობა მანც არ წასულა ისე შორს, რომ შავი ზღვა რუსეთის «სახლად» ქცეულიყო, საიდანაც მას შეეძლო გასვლა და სხვას კი არ შეეძლო შესვლა. მონტროს კონვენციის პირველი მუხლი «სცნობს და ადასტურებს სრუტეებში გასვლის და ზღვაოსნობის თავისუფლების პრინციპს», როგორც ეს აღიარებული იყო ლოზანის კონვენციაში. კიდევ მეტი, მე-28-ვე მუხლში, რომელიც ოცი წლით საზღვრავს კონვენციის ვადას, პირდაპირ ნათქვამია, რომ თვით პრინციპი სრუტეების თავისუფლებისა უვადოა, ე. ი. მისი შეზღუდვა არ შეიძლება მომავალ კონვენციებშიც.

სავაჭრო გემები თავისუფლათ გადაიან ორთავე მხრით სრუტეებში მშვიდობიანობის და თვით ომის დროსაც, თუ ოსმალეთი ნეიტრალია, ხოლო როცა

ის მეომარია, მაშინაც არ ერთმევათ გასვლის უფლება ნეიტრალ ქვეყნების სავაჭრო გემებს (მუხლები 2, 4, 5).

რაც შეეხება სამხედრო გემებს, ამ მხრივ იმასთან განსხვავებით, რაც იყო დაწესებული ლოზანის კონვენციაში, სახელმწიფოები ორ კატეგორიად იყოფიან: შავი ზღვის მონაპირენი და არამონაპირენი. პირველ კატეგორიის სახელმწიფოთ უფლება აქვთ, მშვიდობიანობის დროს, გაატარონ სრუტეებში ორთავე მხრით თავისი გემები, მიუხედავთ სიძლიერისა და საერთო ტონაჟისა, მაშინ როდესაც მეორე კატეგორიისსა შეუძლიათ მჩატე ტიპის გემები გაატარონ და ისიც არა უმეტეს 15.000 ტონისა ერთბაშათ და 30.000 ტონისა ყველამ ერთათ. ეს ზომა 30.000 ტონა მათ შეუძლიათ აიყვანონ შავ ზღვაზედ 45.000 ტონამდე, თუ ყველაზე ძლიერი განაპირა სახელმწიფო 10.000 ტონით გადააცილებს თავის გემების საერთო ტონაჟს, არსებულს კონვენციის ხელის მოწერის დროს (მუხ. 10, 11).

აკრძალულია სრუტეების გავლა ქვეშ მავალთათვის, გარდა ორი შემთხვევისა: როცა განაპირა სახელმწიფოს შავ ზღვაში შემოყავს მის გადაღმა აშენებული ან ნაყიდი ქვეშ-მავალი, და როცა ისინი გაყავს შავი ზღვიდან შესაკეთებლათ (მუხ. 12). აკრძალულია აგრეთვე აეროპლანებისთვის სრუტეებზედ გადაფრენა, მაგრამ ოსმალეთი ვალდებულია სხვა გზა უჩვენოს მათ ამ ზონის გადაღმა (მუხ. 23).

როგორც ხედავთ, რუსეთმა თითქო მიაღწია თავის მიზანს, უძლიერეს განაპირა სახელმწიფოდ ისაა, რა თქმა უნდა, ნაგულისხმევი, და მას უფლება მიეცა თავისუფლათ გაიყვან-გამოიყვანოს, შავი ზღვიდან ხმელთა ზღვაში და წინაუკმო თავისი სამხედრო გემები, განუსაზღვრელათ რაოდენობისა და ტონაჟისა. პირველათ, რაც რუსეთის იმპერია დაარსდა, ეძლევა მას ეს უფლება და, ცხადია, ლიტვინოვს აქვს საბუთი ასიამოვნოს თავის ბატონს, რომელმაც ასე მხურვალეთ მიულოცა მას 60 წლის თავი მის დაბადებიდან.

მაგრამ ეს სიხარული ნაადრეგია, თუ მივიღებთ მხედველობაში ოსმალეთის უფლებას: პირველი, მიიწვიოს სრუტეების შიგნით მდებარე ერთ-ერთ ნავთსადგურზე, თავაზიანობის სახით, ყველა სახელმწიფოთა სამხედრო გემები განურჩევლათ, და განუსაზღვრელათ რაოდენობისა და ტონაჟისა; მეორე, იმ შემთხვევაში, როცა ოსმალეთი გრძნობს, რომ მას ომით ემუქრებიან საიდანმე, მას უფლება აქვს სრულიად დაკეტოს სრუტეები და არ გაატაროს არც ერთი სამხედრო გემი (მუხ. 17, 21). ეს ორი მუ-

ხლი ინგლისის მოთხოვნით გავიდა და მხოლოდ ადასტურებს რაც ზევით ვსთქვით: მფარველობა ოსმალეთისადმი, რომ რუსეთმა არ აქციოს ის თავის ყურმძობილ ყმად.

წუ დაივიწყებთ, ყველა ეს პირობები მშვიდობიანობის დროისთვისაა დაწერილი, მაშასადამე, გადაჭარბებული ღირებულება არ უნდა მიეწეროს მონაპირე და არამონაპირე სახელმწიფოთა უფლებრივ განსხვავებას. თავი და თავია, როგორია მათი უფლება ომის დროს, და ამ შემთხვევაში არავითარ განსხვავებას არ უშვებს მათ შორის მონტროს კონვენენცია.

ომის დროს, როცა ოსმალეთი ნეიტრალია. ყველა შეზღუდვანი ჰქრებიან მეომარ სახელმწიფოთათვის და მათი გემები თუ ქვეშემაღალი თავისუფლათ სარგებლობენ სრუტეებს მტერზე შესატევათ. როცა ოსმალეთი თვითონაა მეომარი, მაშინ მისგანაა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული მოკავშირეს გაულოს და მტერსკი დაუკეტოს სრუტეები (მუხ. 19, 20).

მაგრამ თვით ომი ნებადართულია, კონვენციის თანახმად, ორ შემთხვევაში: პირველი, როცა ერთა ლიგა დაადგენს თავდამსხმელ სახელმწიფოზე გალაშქრებას სრუტეების გაღმა გამოღმა; მეორე, როცა ერთი თუ მეტი სახელმწიფო ეხმარება მეორე თუ მეტ სახელმწიფოს, თანახმად რეგიონალურ პაქტისა, შეკრულს ერთა ლიგის სტატუტის მიხედვით, თუ ოსმალეთიც მონაწილეა ამ პაქტისა (მუხლი 19, მეორე აბზაცი). ეს ორი შემთხვევა, როგორც თავის თავთ გასაგებია, რუსეთის დაყინებული მოთხოვნით და საფრანგეთის დახმარებით იქნა შეტანილი კონვენციაში; ხოლო ინგლისმა შეატანია ხაზგასობილი ფრაზა, რაიცა მოასწავებს იმას, რომ საფრანგეთს და რუსეთს მაშინ შეუძლიათ ისარგებლონ სრუტეები, როცა ოსმალეთიც მათთანაა პაქტით შეკრული. მოხდება თუ არა ეს და როდის, ეს სხვა კითხვაა, მანამდე კი რუსეთ-საფრანგეთის თანამშრომლობა, სრუტეების გზით, შეუძლებელია, თუ ოსმალეთიც მათ არ ეკედლება.

იმის კითხვა: რა ფასი აქვს ყველა ამ მუხლებს ომის დროს? განა ეთიოპიის კონფლიქტმა არ დავანახა, რომ ერთა ლიგა უძღურია შეუძლებელი გახადოს ომის დაწყება ან მისი შეჩერება? მეორეს მხრით, გარდა იმისა, რომ არავინ იცის იტალიის პოზიცია, იაპონიამაც რეზერვი გააკეთა, რადგან ის არ არის ერთა ლიგის წევრი და, მაშასადამე, მისი დადგენილება სავალდებულო არ არის მისთვის. უადრესათ სავალდებულო იყო, კონფერენციის

გასწორივ, ინგლის-იაპონიის დელეგაციათა სრული თანხმობა სრუტეების საკითხში, რაიცა დიდ საგონებელში ავდებდა რუსეთის დელეგაციას, რადგან ეგ შეიძლება სხვა კითხვებშიც თანხმობას მოასწავებს...

დაგვრჩა ერთი კითხვა, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის, მთელი კავკასიისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა. კონვენციაში უკვე არაა შეტანილი სრუტეების საკონტროლო კომისია, სადაც საქართველოსა და უკრაინისთვის ადგილი იყო დატოვებული, და კომისიის ვალდებულება მთელათ ოსმალეთზე გადვიდა, რომელსაც სრუტეების ნაპირების გამაგრების უფლებაც მიეცა, რასაც უადრესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ კომისიის გაუქმება არ ნიშნავს, თავის თავთ ცხადია, იმის უარყოფას, რომ საქართველო შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოა, ან კიდევ იმას, რომ შავი ზღვა იქცა რუსეთის ტბად. უკრაინის ნოტიდან უკვე სჩანს, რომ თვით რუსეთი არ არის შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფო.

## 1924 წლის აჯანყება

მუდამ დაუვიწყარია ავგისტოს-სექტემბრის დღეები, დიდი განცდები ჩვენი ახალი ისტორიის, ღრმად აღბეჭდილი ჩვენს გულზე. მღელვარებით ვიგონებთ, სიმწარით და თან სასოებით, ნაღველით დაღუპულ მამულიშვილებისთვის და იმედით მომავლისთვის.

ვიგონებთ. უნდა მოვიგონოთ მთელი ჩვენი არსებით, ფიქრით, გრძობით. უნდა ჩავექსოვოთ 1924 წლის ამბებს, გავიგონოთ გამწარებული ერის ბრძოლის ყიყინა, ვიგრძნოთ, თუნდ წამიერი, მისი თავისუფალი ამოსუნთქვა, დავინახოთ შეუდრეკელი თავის განწირვა, ერის ერობა, შეცნობა თავის ვინაობის და რაობის, ღირსების და მერე... დამარცხება უსწორო ბრძოლაში, იმდენი დანთხეული სისხლი, ველური შურისძიება მტრის, უმანკო ბავშოა და მოხუცთა არ დანდობა, და ბოლოს კვლავ აღდგენა, სულიერი გაუტეხელობა, შეურიგებლობა, იმედი და მზადება საბოლოო გამარჯვებისათვის, თავისუფალ საქართველოსათვის!

უნდა მოვიგონოთ ყველაფერი ეს განსაკუთრებით დღეს, როცა აღდგენის და განახლების სახეები ესოდენ მოახლოვებით და სიცხველით წარმოგვიდგება თვალს წინ. და ეს მოგონება ორს რასმე გვეუბნება:

1924 წელი უკან იცქირება 1921 წლისკენ: აჯან-

ყება იყო ცდა შეცდომის გამოსწორების, რომელიც ჩავიდინეთ ბოლშევიკების თავდასხმის დროს. ჩვენ გვაკლდა სამშობლოს ძლიერი სიყვარული, ეროვნული შეგნება, დაფასება თავისუფლების, საკუთარ ეროვნული სახელმწიფოებრივობის გაგება, და ამიტომ დავმარცხდით უპირველესად. არ ვხედავდით, თუ რას ვკარგავდით, არ ვგრძნობდით, თუ რა მოგველოდა, თორემ უმალ გავწყდებოდით, ვიდრე მტერს დავემორჩილებოდით, ვერ გამოვიჩინეთ საჭირო სიმწიფე, ვერც მტკიცე ნდობა დამოუკიდებლობის, ვერც დიდი მამულიშვილური ალტყინება და გამირული მოქმედება, და გვძლიეს ურდოებმა, გადათელეს ჩვენი ეროვნულად ჯერ ვერ მომაგრებული სხეული.

რუსეთის ასოცი წლის ბატონობის დამკვიდრებული სულიერი მოდუნება ვერ ამოფხვრა ორნახევარ წლის თავისუფალმა არსებობამ. არ ვიყავით მთლად აღდგენილი და გამთელებული.

ავვისტო-სექტემბერი, ყოვლის უწინარეს, იყო აჯანყება აი ამის წინააღმდეგ, პროტესტი ჩვენივე საკუთარი სისუსტის, ეროვნულ შეუგნებლობის და მოუშხადებლობის წინააღმდეგ. 1924 წელს ქართველი ერი გვევლინება უკვე სულ სხვა სახით, ვიდრე 1921 წელს. ახლა ქართველობა გამოდის, როგორც ნამდვილი ერი, ძლიერი ნაციონალური შეგნებით, მკვიდრი მამულიშვილური გატაცებით, გამირული თავდადებით თავის თვითარსებობისათვის, გამოდის შედუღებული და შემტკიცებული ერთი სხეულით და ერთი სულით, მოხუცი და ახალგაზდა, ქალი და კაცი ერთად, ერთის დროში—თავისუფალი საქართველო ან სიკვდილი!

მტერმა გაიმარჯვა ქართველ ერზე, მაგრამ ქართველმა ერმა გაიმარჯვა თავის თავზე—ამაშია უდიდესი მნიშვნელობა 1924 წლის. ავვისტო-სექტემბერში ქართველი ერი თავის განწირვით და სისხლით ეწიარა 26 მაისს და ამერიდგან გახდა ღირსი სამშობლოს თავისუფლების. თუ 26 მაისმა დაამყარა ობიექტიურად დამოუკიდებელი საქართველო, აჯანყებამ მონათლა და აკურთხა სუბექტიურად, ურომლისოდ ვერასოდეს იქნებოდა ცხოველი და მკვიდრი. ავვისტომ შეავსო მაისი. მაისი ნებაა თავისუფლების, ავვისტო—ბრძოლის ამ თავისუფლებისათვის; არაა თავისუფლება, თუ თან არ სდევს მუდმივი ნება თავის დადებისა მის დასაცავად...

მაგრამ 1924 წ. მომავლისკენაც იტკირება: დიდია მისი მნიშვნელობა დღევანდელ მებრძოლ ქართველობისათვის, განმათავისუფლებელ მუშაობისა და

ბრძოლისათვის როგორც აქ, ისე იქ საქართველოში. ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვერასოდეს აღვადგენთ მარტო 26 მაისის აქტის მეფებით, რომელიც, ცხადია, საქართველოს ისტორიაში ერთი უმნიშვნელოვანესი დატათავანი. მან ადგილი მისცა კვლავ აღდგენილ საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობაში, ჩვენ გვიცვენს, პატივს გვცემენ, თანაგვიგრძობენ. ხოლო დაკარგულ თავისუფლებას არავინ მოგვიტანს, თავს ჩვენთვის არავინ გამოიღებს, თუ ჩვენ თვითონ არ გამოვიდევით თავი, თუ თვითონ არ ვიქენით ფხიზლად, არ ვიმოქმედებხნენ, არ ვიბრძოლეთ მედგრად. ამისათვის კი მუდამ უნდა გვახსოვდეს 1924 წ. გამირთა ანდერძი: ჩვენს გულებში შეუუნებლად უნდა ენთოს მათი მამულიშვილური ცეცხლი, სამშობლოს და ერის ღრმა სიყვარული, ეროვნული შეგნება და სიმტკიცე, ძალთა ერთობა და თავის დადება თავისუფლებისათვის.

გვახსოვდეს ყველას ეს, ნამეტურ დღეს, დიდ ამბავთა და საქმეთა მოლოდინში.

ს. ფირცხალავა.

### საუბრების თავისუფლება და საპარტიო

(მოხსენება, რომელიც გადასცა ყოფილმა ელჩმა ავ. ჩხენკელმა სტანლეი ბოლსს, სრუტეების კონფერენციის თავმჯდომარეს მონტრეში)

1. საქართველო არაა წარმოდგენილი მონტრეს კონფერენციაზე, რომელზედაც მიწვეული არიან შეთანხმების ხელის მომწერნი, ამ შეთანხმების შესასწორებლად თურქეთის მოთხოვნით, — არაა წარმოდგენილი, ვინაიდან იგი კვლავ დაკავებულია საბჭოთა ჯარების მიერ და მოკლებულია საშუალებას თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს.

რომ საქართველოს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ამ მოლაპარაკებაში იმავე სახელით როგორ რუსეთსა და უკრაინას, ვითარცა შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოს, — ეს იცნო ლოზანის კონფერენციამ, თურქეთის მთავარ დელეგატის ისმეთ ფაშის წინადადებით. ამის შედეგი ის იყო, რომ რუსეთის დელეგატმა, რომელსაც თავი მოჰქონდა «თავის მოკავშირე საქართველოს და უკრაინის» წარმომადგენლად, მოითხოვა, რათა ეს ორი ქვეყანა მოხსენებული ყოფილიყო პროტოკოლში რუსეთის გვერდით. კონფერენციის მთავარმა მდივანმა თავმჯდომარეების სახელით 1922 წ. 21 დეკემბრის თარიღით უპასუხა, რომ რუსეთის დელეგაციის მოთხოვნა შესრულებული იქნება, ხოლო «რუსეთის ნაცვლად რუსეთის, უკრაინის და საქართველოს შეტანა საბოლოო პროტოკოლში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაკებული ისე, რომ თითქოს უკრაინა და საქართველო კანონიერად არიან წარმოდგენილნი კონფერენციაზე». ეს უარის თქმა, რომ რუსეთს არ



მიეცა უფლება, ყოფილიყო უკრაინის და საქართველოს წარმომადგენელი, დადასტურდა ერთხელ კიდევ იმით, რომ სრუტეების შეთანხმების საბოლოო ტექსტზე რუსის დელეგაციას ნება მისცეს, ხელი მოეწერა მხოლოდ რუსეთის სახელით.

საქართველოს და უკრაინის წარმომადგენელნი ვერ დაესწრენ ლოზანის კონფერენციას, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა დამსწრეთ შეენახათ ამ ორი ქვეყნისთვის ადგილი სრუტეების კომისიაში, რომელიც გათვალისწინებულია შეთანხმების 10, 11 და 12 მუხლებით. მართლაც მე-12 მუხლში, რომელიც ჩამოთვლის სრუტეების კომისიის წევრ-სახელმწიფოებს, მესამე პუნქტი ამბობს შემდეგს: «იგივე უფლება, იმავე პირობებში, შენახული იქნება შავი ზღვის მონაპირე დამოუკიდებელ სახელმწიფოებისთვის, რომელნიც მოხსენებულნი არ არიან ამა მუხლის პირველ პუნქტში». ვინაიდან პირველ პუნქტში დასახელებულია ოთხი მონაპირე სახელმწიფო: თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და რუსეთი, ცხადია, რომ მესამე პუნქტი ჰგულისხმობს საქართველოს და უკრაინას, რადგან შავი ზღვის სხვა მონაპირე სახელმწიფოები არ არსებობენ.

2. რომ საქართველო ესოდენ დიდს მნიშვნელობას აძლევს სრუტეების შეთანხმებას, წარმოსდგება იქიდან, რომ ის აღიარებს მიმოსვლის თავისუფლებას ზღვით თუ ჰაერით დარდაწესა, მარშალილოს ზღვასა და ბოსფორზე. ვინც ოდნავადაც არის იცნობს საქართველოს ისტორიას, მან უწყის, თუ რამდენი უბედურება დაატყდა მას თავზე მას შემდეგ, რაც თურქებმა კოსტანტინეპოლი აიღეს 1453 წელს და სრუტეები დაიკეტა. შავ ზღვაში ჩაკეტილი და მოწყვეტილი დასავლეთს, ქართველი ერი თავგანწირულად იბრძოდა სამი საუკუნე ნახევრის განმავლობაში თავის სახელმწიფოს დასაცავად; ხოლო დაუძლურებული და სანახევროდ ამოწყვეტილი იგი ადვილად განდა მსხვერპლი რუსეთის იმპერიალიზმისა.

სწორედ ამ იმპერიალიზმის ერთგული დამცველი ჩიჩერინი იყო, საგარეო საქმეთა მაშინდელი კომისარია, რომ ყოველ დღეს ხმარობდა ლოზანაში, რათა ხელი შეეშალა სრუტეებზე მიმოსვლის თავისუფლების პრინციპის განხორციელებისათვის. თავის პროექტის 4 და 21 მუხლებში ჩიჩერინმა მოითხოვა სრუტეების დაკეტვა ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის, გარდა თურქეთის გემების და «შავი ზღვის გამოცხადება მონაპირე სახელმწიფოების» დაკეტილ ზღვად. მაგრამ შავი ზღვის დაკეტილად გამოცხადება უსათუოდ გამოიწვევდა უფრო ძლიერს, ე. ი. რუსეთის, გაბატონებას დანარჩენ მონაპირე სახელმწიფოებზე და ამ უკანასკნელებს გადააქცევდა მის ვასალებად. აი როგორი სიტყვებით დაახსიათა განსვენებულმა ლორდმა კერზონმა, კონფერენციის თავმჯდომარემ, რუსების პროგრამა: «რაც უფრო ახლო ვეცნობით რუსეთის პროგრამას, მით უფრო ნათელი ხდება, რომ მას ერთი მიზანი აქვს—გადააქციოს შავი ზღვა რუსეთის

ტბად და ამ ტბის გამოსავლის მცველად იყოლიოს თურქეთი».

იხმეთ ფაშა, რომელსაც ეტყობოდა არ უნდოდა შავი ზღვის რუსეთის ტბად გადაქცევა, არ დაეთანხმა ჩიჩერინის დასაბუთებას და შეთანხმებას ხელი მოაწერა. რუსეთის მრავალი ომი სრუტეების და კოსტანტინეპოლის დასაპყრობად ნაკლებ იმედებს აძლევდა იხმეთ ფაშას, რომ წითელი მოსკოვი უარს იტყოდა მეფეების პრეტენზიებზე. მით უმეტეს, რომ ბალტიის ზღვის ნაპირების დაკარგვა დიდი ომის შემდეგ არა თუ შეასუსტებს რუსეთის ლტოლვას სამხრეთისკენ და მის ძალდატანებას შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოებზე, არამედ უფრო გააძლიერებს მომავალში.

3. მონტრეს კონფერენციაზე ს. ს. რ. კავშირის წარმომადგენლის მოქმედება სულ სხვანაირია, ვიდრე იყო მისი წინამოადგილის ლოზანაში. ერთი—ის უბრუნდება რუსეთის იმპერიის სულსკვეთებას, რომ მოიპოვოს თავის სამხედრო გემებისთვის თავისუფალი მიმოსვლა სრუტეებში და ამავე დროს აღუკვეთოს ეს თავისუფალი მიმოსვლა სხვა არა მონაპირე სახელმწიფოების სამხედრო გემებს. მეორე—ის არ მოითხოვს უკვე თავის «მოკავშირეების» საქართველოს და უკრაინის დაშვებას კონფერენციაზე და არც მათ მოხსენებას პროტოკოლში, რაიც მოასწავებს საიმპერიო რუსეთის დადგინებას ს.ს.რ. კავშირის ალაგას.

ლოზანის კონფერენციამ, რომელმაც გამოაცხადა სრუტეების და შავი ზღვის თავისუფლება საერთაშორისო კონტროლს ქვეშ, დაუფასებელი სამსახური გაუწია არა მხოლოდ შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოების დაცვის საქმეს, არამედ საერთო მშვიდობიანობასაც. ამიტომაც დასახელებული შეთანხმების შესწორებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაარღვიოს ეს ორი ძირითადი პრინციპი: სრუტეების და შავი ზღვის თავისუფლება და ამ თავისუფლების უზრუნველყოფა საერთაშორისო დავისუფლებით.

4. საქართველოს მდგომარეობა მეტად მძიმეა იმის გამო, რომ იგი შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოთა შორის ერთად ერთია, რომელსაც არა აქვს დასავლეთთან საერთო საზღვარი. სრუტეების თავისუფლება ყოველი საერთაშორისო გარანტიით მისთვის საარსებო საკითხია.

ქართველი ერი, რომელიც დამონებულია და მოკლებულია საშუალებას თავი დაიცვას მონტრესში თავის წარმომადგენლების პირით, სრულიად დარწმუნებულია, რომ უშედეგოდ დარჩება საბჭოთა რუსეთის ცდა, რათა გვერდი აუქციოს საქართველოს და მის ინტერესებს. რომლებიც სავსებით განსხვავდებიან რუსეთის ინტერესებისაგან, და რომ სრუტეების საკითხის ახალი მოწესრიგების დროს ხელუხლებელი დარჩება საქართველოს უფლება, როგორც შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოსი, უფლება, რომელიც შეუნახა მას ლოზანის შეთანხმებამ.



### შვეიცარიის ღირსება

წერილი ჟან მარტენისა \*)

თავის ენერგიულ ჩარევით 1934 წ. სექტემბერს ბ. მოტამ განამტკიცა საბჭოების დაპყრობილ საქართველოს უფლების ურყევლობა.

ამ აქტმა (იმ პირობებში ჩვენი პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსის სიტყვას ნამდვილი აქტის მნიშვნელობა უქონდა)—ამ გაბედულმა აქტმა პატარა სახელმწიფოსი, რომელმაც თავს იდგა მეორე პატარა სახელმწიფოს დაცვა, კვლავ აამაღლა შვეიცარიის პოლიტიკური და მორალური ღირსება მთელი მსოფლიოს თვალში. გაბათილდა იმათი კრიტიკა, რომელთაც წარმოედგინათ შვეიცარია სულმოკლე ქვეყანად, ვინაიდან იგი ნეიტრალურია: ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გადაჭრით უჩვენა ყველას, ამ შემთხვევისა გამო, რომ ნეიტრალობა არ ნიშნავს არც უფულობას, არც სილახრეს.

მთელ ევროპაში და სხვაგანაც მოტას განცხადება ისე იყო მიღებული როგორც საერთო საზოგადოებრივი გრძნობის გამოხატულება და ყველა ხედავდა ამ კეთილშობილურ და უანგარო პოლიტიკურ ჩარევაში სიღიადეს. ამ ჩარევამ ის აზრი განამტკიცა, რომ პატარა ერებს შეუძლიათ პირველხარისხისგან როლი ითამაშონ საერთაშორისო სარბიელზე ერთა ცხოვრების დიდი შემთხვევის დროს.

ნუ თუ შვეიცარიის ფედერალური პარლამენტი წაშლის და გააქრობს ასე მოპოვებულს პატივისცემას? ნუ თუ ოსისათვის გასწირავს თავის ღირსებას? ნუ თუ დასტოვებს თავის დის—ერის წმინდა საქმეს, რომლის დამცველად ნაციათა ღიგაში გამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი,—და იცნობს საბჭოთა მთავრობას, რომელმაც გასთელა თავისი გადაჭრითი დაპირებანი და მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა?

ეს გარემოება ჩვენი ქვეყნის არც ერთმა მოქალაქემ უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს. თუ ერთა კრებულში შვეიცარია პატივმოსილია, ეს ყოველის უწინარეს იმ მორალური ძალისა გამო, რომელსაც ის წარმოადგენს. ერთი სახე ამ მორალური ძალისა არის მისი მზრუნველობა მატერიალური ღონისათვის, ის სიმტკიცე, რომელსაც იჩენს ჩვენი ძვეყანა, რათა მისი თავდასაცავი არმია თავის სიმაღლეზე იდგეს, ვინაიდან მილიციების მუდმივი გაუმჯობესება ამჟღავნებს მტკიცე ნებისყოფას, რომ სამშობლოს მიწა-წყალი დატული იქნება ყოველი მოძალადისა და თავდამსხმელისაგან. მეორე სახე მორალური ძალისა არის ის მოქალაქობრივი სიმხნევე, რომლითაც შვეიცარია უმკლავდება დღევანდელს ეკონომიურს გაჭირვებას. მესამე სახეა მისი გამოსვლა 1934 წ. სექტემბერში, ორ პატარა ერთან პორტუგალიასა და პოლანდიასთან ერთად, პირისპირ შეკავშირებულ დიდი სახელმწიფოებისა; მან გაბედა მხილება სიცრუისა, თითქოს საბჭოები გამოცვლილიყოს, გაბედა იმის აღნიშვნა, რომ ს. ს. რ.

კავშირი მიღებული იქნა ერთა ღიგაში წინამდევ კოვენანტის (წესდების) არსებითი პრინციპებისა. გაბედა იმის გამოცხადება, რომ უნდა აღსდგეს ერი, რომელიც ჩაპკლა ბოლშევიკურმა იმპერიალიზმმა.

პატივისცემა იმას, ვინც იცის და შეუძლია პატივისცემის დამსახურება. მაგრამ რას იტყვიან შვეიცარიანე, თუ მას შემდეგ, რაც ისე გაბედულად პირისპირ მთელი ქვეყნისა მოითხოვა დაჩაგრულთა უფლების აღდგენა, დღეს ზურგს შეაქცევს მათ საქმეს რალაც საცოდნავ ქონებრივ გამორჩენისათვის? ყველა ხომ ისე მიიჩნევს, რომ მისი მოქმედება 1934 წლის სექტემბერში იყო სამარცხენო კომედია. ასე იტყვიან: ვიდრე მისი ქონებრივ ინტერესებს არ შეეხენ. შვეიცარია იყო «გაბედული» დამცველი უფლებისა, ხოლო როგორც კი საბჭოების პორიზონტზე გამოჩნდა რამდენიმე დაკვეთა მისი მრეწველობისა და ვაჭრობისათვის, მან სასწრაფოდ დაივიწყა მის მიერვე გამოცხადებული პრინციპები, მიატოვა დაჩაგრულები, რომელთაც თვავდა, და შეუერთდა დამჩაგვრელებს, რომელთაც თვითონვე ამხილებდა სიფლიდეს და ძალმომრეობას!

რატომ არის, რომ საბჭოთა მთავრობა ასეთს განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს de facto და de jure ცნობას შვეიცარიის მიერ? რასაკვირველია, არა ჩვენი მილიტარულ ან ეკონომიურ მნიშვნელობისათვის. მაგრამ თუ იგი ასე დაჟინებით ცდილობს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის მიმხრობას, აქ სხვა მოსაზრებას აქვს ადგილი, შვეიცარიის რესპუბლიკის მორალურ ღირებულებას. თუ შვეიცარიამ, რომელიმაც დაპყრობის საბჭოების ავაზაკობა, დღეს იცნოს ეს საბჭოები, ეს იმათთვის იქნებოდა ერთგვარი მოწმობა, რომ კეთილი სინდისის და ზნეობის ხალხი არიან. ს. ს. რ. კავშირმა უფრო ღრმად, ვიდრე ეს შეიძლებოდა ვისმე ეფიქრა, იგრძნო მთელი მსოფლიოს შეგნების მიერ წარმოქმნილი გაკიცხვა, იმ შეგნების, რომლის მტკიცე და მკვერმეტყველ გამომხსაველად გამოვიდა მოტა.

საქართველოს დაპყრობა ეს ისეთი ლაქაა, რომლის წაშლა არ შეუძლია საბჭოთა ყველაზე უფრო მთხერხებულს პროპაგანდას. როგორც კი ლიტვინოვი სხვებს იმპერიალიზმს ამხილებს, მყისვე უპასუხებენ: საქართველო. როცა «ხელშეკრულობათა პატივისცემაზე» ჩამოადგებს სიტყვას, ყურებში საქართველოს სახელი ესმის. თავის დამტყრეული ინგლისურით პაციფისტურ ჰანგზე რომ დაიწყებს ლაპარაკს, საქართველოს გაახსენებენ. სიტყვა საქართველო საფრთხობელა გახდა ბოლშევიკებისთვის. იგი მათ სინდისს კი არ აფრთხობს—ბოლშევიკური სინდისი უგრძობობა. ხოლო საქართველოს გახსენება მოქმედებს მათ მეგობრებზე, ავრეთვე მტრებზედაც, და ეს უხერხულობას ჰქმნის ბოლშევიკებისთვის.

თუ შვეიცარიამ ოფიციალურად იცნო საბჭოები, ყველაფერი ეს მოისპობა. თუ შვეიცარიამ, რომელიც არის მსოფლიო სინდისის გამომხატველი, მისცა ბოლშევიკებს კეთილზნეობის მოწმობა, საქართველო აღარ იარსებებს ქვეყნიერების თვალში. ამგვარად შვეიცარია ზურგს შეაქცევს იარაღისძა-

\*) «Journal de Genève» 1936 წ. 3 ივნისი.



ლით დაპყრობილ ერის წმინდა უფლებებს, ძველი ტრადიციების და თანამედროვე ცივილიზაციის მქონე ერის, რომელსაც არაფრით დაუმსახურებია ეს მწარე ხვედრი.

ს. ს. რ. კავშირის ცნობა ეს იქნებოდა შვეიცარიის მხრით თავის საკუთარი გაბედული, 1934 წლის აქტის დაგმობა, ეს იქნებოდა საქართველოს ავანაკური მოკვლის ცნობა, ეს იქნებოდა უარის თქმა იმ მორალურ სახელზე, რომელიც შვეიცარიამ მოიპოვა მთელ დედამიწაზე.

ერთი სიტყვით, ეს იქნებოდა თავის თავის უარყოფა).

**«სომეხ-ქართველთა უნიონი»-ს მოწოდების გამო**

ქვევით ჩვენ ვბუქდავთ კავკასიის კონფედერაციის საბჭოს რეზოლიუციას შესახებ იმ მოწოდებისა, რომელიც ამ წლის მაისის ბოლოში გავრცელდა «სომეხ ქართველთა უნიონის» სახელით. ამ რეზოლიუციიდან მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებულ ცენტრს არ უდევს რაიმე წილი ამ მოწოდების გამოცემაში. აქედან ცხადია, რომ ამ რეზოლიუციის უკომენტარიოთ გამოქვეყნება სრულიად საქმარისი იქნებოდა ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად; მიუხედავად ამისა ჩვენ იძულებული ვხდებით მოკლე განმარტებით ვუპასუხოთ გაზეთ «კავკახს». ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ უკანასკნელის პოლემიკურ სტილს და საზოგადოდ გავუბრუნებთ მასთან პოლემიკაში ჩაბმას. ჩვენი გაზეთის დანიშნულებას არ შეადგენს ბამატიხებურ პრეტენზიების მქონე ხალხს პოლემიკური დოლი გაუმართოს.

ჩვენ ოდნავადაც არ გვაკვირებს, რომ «უნიონის» მოწოდებას ნერვები აუშლია ბ-ნ ბამატიხათვის და ერთი ზედმეტი შემთხვევა მიუცია მისთვის ერთხელ კიდევ კრას წიხლი «კავკასიის კონფედერაციის პაქტს», რომლის ფასი თურმე «გროშია»; არ გვაკვირებს არც ის ღვრძლი, რომლითაც ის იხსენიებს საზოგადოთ თავის ნაწერებში ქართულ ეროვნულ ცენტრს, არც მისი უადგილო და არაკეთილმზობლური ჩამორევა ჩვენს შინაურ ქართულ საქმეებში, —ყოველივე ამას ჩვენ დიდი ხანია ვეგეჩივით. —ვიტყვიტ მხოლოდ, რომ «კავკახისა» და მისი სულის ჩამდგმელების ასეთი ტენდენციები ოდნავადაც ვერ შეუწყობენ ხელს კავკასიაში მობინადრე ერთა სოლიდარობის განმტკიცებას. არ კმარა კონფედერაციის მხეს იფიცებდე წამდაუწყუმი; უფრო მეტად საჭიროა, რომ შენი მოქმედება ძირს კი არ უთხრიდეს კონფედერაციას, არამედ მის საფუძველს ამაგრედეს. ამისთვის ერთ უმთავრეს პირობას შეადგენს, რომ ერთი მეზობელი მეორე მეზობლის შინაურ სა-

ქმეებში არ ერეოდეს, მის შინაურ საქმეებში ხელს არ აფათურებდეს.

ბ-ნი ბამატი თავის ქურნალში ქართულ შინაურ საქმეებზე უფრო მეტსა და ხშირად წერს (და ისიც ვინებას). ვინემ თავის საკუთარ სამზობლოზე; გვევლინება არამკითხე მიუპატიჟებელ მსაჯულად და ასამართლებს ამა თუ იმ ქართულ პოლიტიკურ პარტიას, ქართულ პოლიტიკურ ცენტრს, თითქო მის დაუხმარებლად ქართველ ხალხს არ შეეძლოს თეთრი შავისაგან გაარჩიოს და სწორი გზა მონახოს. ბნმა ბამატმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ ქართველ ერს არ სჭირია მისი ჭკუა და დარჩევა, მას თავისით შეუძლია თავისი შინაური საქმეები მოაგვაროს და თავის თავს გაუძღვეს.

შინაურ საქმეების გარდა არსებობენ კავკასიაში მობინადრე ერთა საერთო საკითხები და საერთო ინტერესები; ამ საერთო ინტერესების გარკვევა, მეგობრულად და მეზობლურად მათი მოგვარება—აი ის, რაც შეადგენს ამ ერთა საერთო საქმიანობის საგანს და შინაარსს; მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება მოეწყოს კავკასიის ხალხთა ნაყოფიერი თანამშრომლობა და მათი ერთ კონფედერატიულ სახელმწიფოში თავის მოყრა.

კონფედერატიული კავკასიის სასიცოცხლო ინტერესია მის წიაღში სომხეთის ყოფნა. აქედან ცხადია, რომ კონფედერაციის ყველა გულწრფელი მომხრე უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ სომხის ერმა და მისმა წარმომადგენლებმა გაიზიარონ კავკასიაში მობინადრე ხალხთა კონფედერატიული კავშირის აუცილებლობის იდეა და შეუერთდენ მას. ყოველივე ცდა ამ მხრით მიმართული, რომელი წრიდან თუ დაჯგუფებიდანაც არ უნდა გამოდიოდეს იგი, მოწონების და ხელის შეწყობის ღირსია. მაგრამ ჩვენ სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია, რომ კავკასიის ერებმა სეპარატიული პოლიტიკური კავშირები მოაწყონ ერთმანეთ შორის, ორი ხალხი შეთანხმდენ დანარჩენ ორის ზურგს უკან, ან სამი მეოთხის წინამდევ. ქართველ ერისთვის კავკასიაში მობინადრე ოთხივე ხალხი—საქართველო, სომხეთი, ადერბაიჯანი და მთა—თანასწორ უფლებიანი ხალხებია; მათი გეოგრაფიული მდგომარეობა მათ უკარნახებს ერთად ყოფნას, მტრისა და მოყვრის წინაშე ერთად გამოსვლას და შეთანხმებულად მოქმედებას. კავკასიის კონფედერაციის საბჭოც, როგორც მისი რეზოლიუციიდან სჩანს, ასე უყურებს ამ საკითხს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი თავისი გონიერი პოლიტიკით შესძლებს დღევანდელ დაბრლოებათა გადალახვას და სომხის ერის წარმომადგენლებთან საერთო ენის გამონახვას.

კავკასიის ხალხთა მტკიცე ერთობა და შეთანხმებულ მოქმედება გარდაუვალი პირობაა იმ განმანთავისუფლებელ ბრძოლის კეთილად დასაბოლავებლად, რომელსაც დღეს აწარმოებენ ევ ხალხები.

\*) როგორც მკითხველმა უკვე უწყის, შვეიცარიის ფედერალურმა პარლამენტმა განიხილა კიდევ ს. ს. რ. კავშირის ცნობის საკითხი და ხმის უმეტესობით უარჰყო. რედ.

### რეზოლუცია

კავკასიის კონფედერაციის საბჭოსი, მიღებული 1936 წ. 16 ივნისის სხდომაზე, «სომეხ-ქართველთა უნიონის» მოწოდების გამო:

«კავკასიის კონფედერაციის საბჭო, გაეცნო რა «სომეხ-ქართველთა უნიონის» ხელმოწერილ მოწოდებას სომხისა და ქართველ ერებისადმი, საჭიროდ სთვლის აუწყოს ყველას შემდეგი განმარტება:

1. მოწოდება გამოცემულია საბჭოს და მის შემადგენელ ეროვნულ ცენტრების უცოდინარად; მათ დღემდის არა უწყიან რა იმ ორგანიზაციის შემადგენლობის, რომლის სახელით გამოცემულია მოწოდება.

2. საბჭო მიესალმება კავკასიის ერთა ყოველწარმოადგენლობას და მეგობრობას, ხოლო აუცილებლად მიაჩნია მათი გაერთიანება ერთ ორგანიზაციაში, როგორც უკვე არსებობს კავკასიის კონფედერაციის და მისი საბჭოს სახით, სადაც სომხეთს ეკუთვნის სათანადო ადგილი.

3. საბჭო ფიქრობს, რომ დაუშვებელია და საქმისთვის მავნებელია ყოველგვარი ცალკე სეპარატული პოლიტიკური შეთანხმებანი კავკასიის ცალკე ერთა შორის, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ურთიერთის მტრობა და დაშლა საერთო-კავკასიურ გაერთიანებასა.

4. საბჭო მოაგონებს ყველა კავკასიელს, რომ ყოველი დავა ტერიტორიალურის თუ სხვა ხასიათისა რესპუბლიკებს შორის გადაიჭრება მთავარი მიზნის—კავკასიის განთავისუფლების—მიღწევის შემდეგ ერთმანეთთან შეთანხმებით ან სავალდებულო არბიტრაჟით».

### ეროვნულ განმეხობის თაობაზე

ამ უკანასკნელ დროს ემიგრაციაში სხვადასხვანაირი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ჭორი ვრცელდება საქართველოდან, ევაკუაციის დროს, უცხოეთში გამოტანილი სამუშეუშო, საეკლესიო და ისტორიულ მნიშვნელობის ნივთების შესახებ. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი:

1) არც ერთი ნივთი სამუშეუშო, საეკლესიო ან რაიმე ისტორიულ ღირებულების, საქართველოდან ევაკუაციის დროს უცხოეთში გამოტანილი, არ ყოფილა გაყიდული და არას დროს დაგირავებული;

2) ისინი საფრანგეთში ჩამოტანისთანავე საფრანგეთის მთავრობის დახმარებით გემიდან პირდაპირ საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის (Banque de France) განყოფილებაში იქმნა გადატანილი (ქ. მარსელში) და საქართველოს მთავრობის სახელზე იქმნა შესანახად მიბარებული (იხ. მიწერ-მოწერა ელჩის აკ. ჩხენკელის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და აღნიშნულ ბანკთან).

3) საქართველოს მთავრობა ამ ნივთებს ყოველთვის უყურებდა, როგორც შესანახად მიბარებულ

კუთვნილებას საქართველოს ეროვნულ დაწესებულებათა, რომელთა წარმომადგენელი იყო აქ, უცხოეთში, ბ. ექვთიმე თაყაიშვილი; იგი საქართველოდან გამოყვა ნივთებს, როგორც რწმუნებული მუშეუშეების, საქართველოს სამღვდლოების და დამფუძნებელი კრების მიერაც ამ საგნებისთვის ყურის მგდებოდა იყო გამოგზავნილი უცხოეთში.

4) ჩამოტანილ ნივთებიდან 13 ყუთი ტფილისიდან წამოღებული არ ყოფილა სრულიად გახსნილი, რადგან ისინი სათანადო მუშეუშეების მიერ დაბეჭდილი იყო და ბეჭდის აუხდელად მათთვის უნდა დაბრუნებოდა; დანარჩენი ნივთები თითო თითოეულად იყო აღწერილი და მოთავსებული 26 ყუთში და დაბეჭდილი. ყველა ამ საგნების მიღებას, აღწერას და სახელმწიფო ბანკში მიბარებას აწარმოებდნენ: ბ. ექვთიმე თაყაიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, იოსებ ელიგულაშვილი და ანდრია დევანოიშვილი. ამ პირთა მიერ შედგენილი იყვნენ. მათ მიერ ხელმოწერილი და დაბეჭდილი ხელუხლებლივ შენახულია.

5) დღიდან ამ საგნების ბანკისთვის მიბარების არავის არც პირადად, არც წერილობით ბანკისთვის არ მიუშართავს არამც თუ რაიმე ნივთის გამოსატანად ან დასაგირავებლად, არამედ უბრალოდ დასათვალისწინებლად (ამის შემოწმება ხომ სულ ადვილია ბანკში).

6) თუმცა ამ საგნების დაცვის საკითხი არა ერთხელ დასმულა «ეროვნულ ცენტრში», მაგრამ არც ეროვნულ ცენტრს და არც მუშეუშეების წარმომადგენელს ბ. ე. თაყაიშვილს არ მიაჩნდათ შესაძლებელია ამ ქონების უკეთესად დაცვა თუ არა არსებულ წესით და იმ ქვეყანაში, რომელიც უკანასკნელ დრომდის ცნობდა ჩვენს ეროვნულ უფლებებს და თავიდანვე დახმარება გაგვიწია ამ საგნების დაცვისთვის. საგნების შესანახი ქირა ეროვნულ მთავრობას შეტანილი ჰქონდა იმ დრომდის, სანამდისაც ბანკი ამას მოითხოვდა.

7) საფრანგეთის მთავრობა და ბანკი სთვლიდა საქართველოს ელჩს, აკ. ჩხენკელს, ფორმალურად ამ ნივთების განმკარგულებლად. ამიტომ საელჩოს დახურვის წინ ელჩმა განცხადებით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, რომელშიდაც იგი მოაგონებდა რა ამ ნივთების მნიშვნელობას, სთხოვდა მთავრობას, რათა ისინი ისევე ხელუხლებლად შენახოდა ქართველ ერს, როგორც აქამდის ინახებოდა (იხ. ელჩის, აკ. ჩხენკელის, მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრისადმი 28 ივნისს 1933 წ.).

8) საელჩოს დახურვის შემდეგ ქ-ნმა ობოლენსკისამ (თავ. მინგრელსკის ქალმა) საჩივარი აღძრა—იმ ნივთებში ჩემი საგვარეულო ქონებაც იმყოფებოდა (1920 წ. დეკემბერში დამფ. კრების დეკრეტით თავ. მინგრელსკის ქონება სახელმწიფოს საკუთრებად იყო გამოცხადებული) და ითხოვდა ამ ნივთების დაქვრას. სასამართლომ მას უარი უთხრა საჩივარზე, ხოლო იმავე დროს დაადგინა (8 მაისს 1934 წ.), რადგან საქართველოს ეროვნული მთავრობა «გაქპრა» (que ce Gouvernement est disparu), ნივთები რომ არ დაიკარგოს, გადაეცეს დასაცავად ბ. ყუდონს





(რომელსაც აბარია აგრეთვე საფრანგეთში დარჩენილი რუსეთის ქონება).

9) თანახმად ასეთი დადგენილებებისა ნივთები გადმოტანილი იქმნა ბანკის მიერ მარსელის განყოფილებიდან ამავე სახელმწიფო ბანკის მთავარ დაწესებულებაში პარიზში. ეს მოხდა საქართველოს ელჩის (ახლა მას აღარ ცნობდენ ელჩად) და ბ. ე. თაყაიშვილის დაუკითხავად და დაუსწრებლად, ხოლო თანდასწრებით, როგორც ბანკში განაცხადეს, საფრანგეთის სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისა. ამნაირად საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელს და სახელმწიფო ბანკს დააწვა ამ მომენტიდან პასუხისმგებლობა ნივთების დაცვის.

10) ასეთ მდგომარეობის წინაშე, ბ. ექვთიმე თაყაიშვილმა, როგორც საქართველოს მუზეუმების წარმომადგენელმა მიმართა თხოვნით საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს (5 მაისს 1935 წ.), სადაც იგი დაწვრილებით აუწყებდა მას, რომ ეს ნივთები წარმოადგენენ არა საქართველოს მთავრობის, არა მედ კერძო მუზეუმების კუთვნილებას, რომ საქართველოვან მთავრობას იგი მიზარებული ჰქონდა შესანახად და ხელუხლებლად იგი იმას ინახავდა, სანამ მას ამის საშვალბა წაერთმეოდა და სხვ., და სთხოვდა ნივთები აღნიშნულ მუზეუმებს კუთვნილებისამებრ დაბრუნებოდა.

ნივთები დღემდის ინახება საფრანგეთის სახელბანკში პარიზში საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის ბ. ჟუდონის მეთვალყურეობით. როგორც ზევით დავინახეთ, ისინი სავსებით დაცული და ხელშეუხლებელი იყვნენ, სანამ საფრანგეთის მთავრობა სცნობდა საქართველოს ეროვნულ მთავრობას და მის საელჩოს და სანამ ამ უკანასკნელთ ფორმალური უფლება ამ საქმეში ჩარევისა არ წაერთვათ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საფრანგეთის მთავრობა აღნიშნულ ნივთებს კუთვნილებისამებრ ჩვენს მუზეუმებს გადასცემს.

ყოფილი ელჩი ავ. ჩხენკელი.

მუზეუმების წარმომადგენელი და სა-  
მუზეუმო განძეულობის მეთვალყურე  
ექ. თაყაიშვილი.

კ ა რ ლ ო ჩ ხ ე ი ძ ე

(ათა წლის თავი)

ათა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დიდი ადამიანი, ქართველი ხალხის მოამბე და მისი ავ კარგის გამგე კარლო ჩხეიძე ტრალიკულად გამოეთხოვა ამ წუთისოფელს. კარლომ მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის სუვერენობისათვის ბრძოლას შესწირა და ბოლოს თითქო ბედმა გაუღიმა; მოესწრო რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობას და საუკუნის განმავლობაში რუსის ტყვეობაში მყოფ ქართველი ერის განთავისუფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მკვდრეთით აღმდგარმა ერმა იგი ჯერ ევროპაში წარმოგზავნა თავის მოციქულად, სრულ უფლებიან წარმომადგენლად და საქართველოს სამართლიან საქმისა და უფლებების დასაცავად ევროპის გამარჯვებულ მმართველთა წინაშე.

შემდეგ, როდესაც ახალი სახელმწიფოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბა, იგივე კარლო იქნა არჩეული ამ უზუნაეს ორგანოს თავმჯდომარედ და მისი მუშაობის ხელმძღვანელად.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სამშობლო ქვეყნის ბედნიერი დღეები; ჩრდილოეთიდან მოდიდინებულმა ვაწითლებულ რუსეთის ახალმა ტალღამ ერთხელ კიდევ დაატყვევა პატარა საქართველო და შეუბრალებლად ააოხრა იგი: გაძარცვა ქონებრივად და დაამონა პოლიტიკურად; საუკეთესო მამულიშვილები განუხჯელად დახვრიტდასოცა, ასობით და ათასობით გადარეკა რუსეთის შორეულ ადგილებში, სადაც ბევრმა მათგანმა მოწამებრივი სიკვდილი ჰპოვა.


თვითონ კარლო უცხოეთში გადმოიხვეწა, რომ აქ გაეჩაღებია ახალი ბრძოლა ახალ დამპყრობელების წინაშედ; იგი დადიოდა ევროპის ერთ ქვეყნიდან მეორეში, კითხულობდა მოხსენებებს და ამხეულდა მოსკოვის კომუნისტურ ხელისუფლების ვერაგობას. მრავალი თანამგრძნობი და მეგობარი შესძინა უცხოეთში საქართველოს მისმა მუშაობამ, მისმა მტრულმა ენამ და დაუცხრომელმა ენერგიამ.

მაგრამ არც მოსკოვი რჩებოდა ამავე დროს უმოქმედოდ; იგი განაგრძობდა ქართველი ხალხის აწიოკებას, აგებდა პროვოკაციის ქსელებს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ერს აუცილებელ აჯანყებისაკენ მიაქანებდა. 1924 წელში იფეთქა აჯანყებამ, მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა იარაღს მიმართა მტრის თავიდან მოსაცილებლად, მაგრამ მოსკოვის ურდოებს ვერ სძლია და დამარცხდა. მოსკოვმა რეპრესიები გააძლიერა, მთელი საქართველო მის საუკეთესო შვილების სისხლით მორწყა და ძვლებით მოკირწყლა. გავიდა თვეები, წელიწადი, მეორე, მაგრამ რეპრესიებს ბოლო აღარ უჩანდა.

კარლომ ვერ აიტანა თავისი ქვეყნის ეს უბედურება და ამ ქვეყნიდან წასვლა არჩია.

თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის მოსიყვარულე დიდი ქართველი უცხო მიწას მიბარდა; მაგრამ დრო მოვა და ქართველი ერი კვლავ დაიბრუნებს

«დამ. საქართველო» ტექნიკური მიზნის გამო იენისში და ივლისში არ გამოსულა. სამაგიეროდ ხელისმომწერლებს დაურიგდათ ივ. ზურაბიშვილის წიგნაკი «საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა», ხოლო «დამოუკ. საქართველო» აგვისტოდან კვლავ გამოვა წესიერად ყოველ თვე.



თავისუფლებას, კვლავ გახდება თავისი თავის ბატონი და პატრონი. მაშინ იგი თავის მოამაგე შვილის ნაშთს დაუბრუნებს თავის ქვეყანას და სამშობლო მიწას მიბარებს იქ, სადაც განისვენებენ საქართველოს დიდი მოამაგე და სახელთვანი შვილები.

14 ივნის პარიზის ქართველთა კოლონიამ პერლაშენის სასაფლაოზე ამ დიდი ქართველის სამოქალაქო პანაშვიდი გადაიხადა. სიტყვები წარმოსთქვა: ევ. გვექუკორმა, გ. გვაზაგამ, კ. გვარჯალაძემ, რ. არსენიძემ და აბრამოვიჩმა.

o.

### ქ. ჩოლოყაშვილის პანაშვილი

28 ივნის სენტ-უანის სასაფლაოზე ქართველი კოლონიის მიერ გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ჩოლოყაშვილის გადაცვალების მორიგ წლის თავის აღსანიშნავად. მოკლე მგრძობიარე სიტყვა წარმოსთქვა კოლონიის თავმჯდომარემ დავსხირტლაძემ.

### უცხოეთის მიმოხილვა

#### Mitteleuropa.

მესამე რაიხი—იმპერია, რომელიც მეორე რაიხის განგრძობაა, თავის დიდი ხნის საწადელს უახლოვდება, აღადგინოს Mitteleuropa—შუაევროპა, დაშლილი დიდი ომის მიერ. ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დაშლამ და ჰაბსბურგთა სკიპტრის ქვეშ, საუკუნეთა გასწვრივ, მყოფ ერთა განთავისუფლებამ, რკინის კანცლერის მიერ დაარსებულ ძლევამოსილ გერმანიას ფეხიდან გამოაცალა მთავარი დასაყრდნობი ბაზა, საიდანაც ის ავრცელებდა თავის ვაღვენას ბალკანეთზე. მცირე აზიაზე და კიდევ უფრო შორს, და იმავე დროს აპობდა ევროპას ორად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპად. სწორეთ ამ ორი ფრთის: რუსეთის იმპერიის და საფრანგეთ ინგლის-იტალიის გაერთიანებამ გამოიწვია 1918 წელს შუა-ევროპის დამარცხება.

არავის დავიწყნია, რომ ვერსალის ზავმა დიდის ზეიმით გაატარა ვილსონის თვითგამორკვევის პრინციპი ავსტრო-უნგრეთის ერებზე, გამარჯვებულთა მომხრეთ დამარცხებულთა მოზრდილი ნაჭრებიც კი მიაკუთვნა, მაგრამ ავსტრიელებზე არ გაავრცელა ეს პრინციპი და ნება არ დართო მათ თავის ძმებს გერმანელთ შეერთებოდენ. ამ რიგით, ექვსი მილიონი ავსტრიელი, ასი პროცენტით მოსურნე შეერთებოდენ სამოც მილიონ მოსახლურ გერმანელთ, იძულებული გახადეს ეცხოვრათ დამოუკიდებლად, ცალკე სახელმწიფოს ქერ ქვეშ, რომელიც რაიხით ავადმყოფ ბავშვს წააგავს, ვეება თავით—დედა-ქალაქი ვენა—და ძალზე მკვლე ბარძაყებით—პროვინცია.

ვინაიდან ერთა ლიგაც მარტოდდენ ვერსალის კარნახის ამსრულებლად იყო მიჩნეული, ერთ-ერთ

მის მოვალეობას ავსტრიის დამოუკიდებლობის ძიება წარმოადგენდა. გახსოვთ, როგორი სუსტი გამოდგა ეს ძიება, ერთხელ მალულად ხელიც კი მოაწერეს გერმანიამ და ავსტრიამ გაერთიანებას—Anschluss, და ეს გაცილებით ჰიტლერის ადრე! ხოლო როცა უკანასკნელმა ძალაუფლება ხელში აიღო, საჭირო შეიქნა ყველაზე დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოს იტალიის და თვით ვატიკანის დახმარება, რათა ავსტრიის დამოუკიდებლობა ეხსნათ. ისინეს დოლფუზის გაბატონებით და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამხობით.

რა გამოვიდა აქედან? ისა, რომ დოლფუზის მოადგილე და თავყვანიმცემელი შუშნიგი ხელს აწერს იმავე გერმანიასთან და ავსტრიას გერმანულ სახელმწიფოდ აღიარებს! რასაკვირველია, ფორმალურად გერმანია სცნობს ავსტრიის დამოუკიდებლობას, ეს არის ერთგვარი კომპრომისი გერმანიასა და ავსტრიის შფარველ იტალიას შორის, კანცლერი შუშნიგი მხოლოდ ფიგურანტია, მაგრამ არსებითად გერმანია-ავსტრიის მორიგება პირველის მიერ მეორის ნელ-ნელა შეწრუპვას მოასწავებს. ბერლინი მიხვდენ უთუოთ, და ეს გვითქვამს ამ ადგილას, რომ გერმანიისთვის გაცილებით უკეთესია, ავსტრია გარეგნულად დამოუკიდებელი დარჩეს, თუ ფაქტიურად ის, განსაკუთრებით ვენა, მისი გამოსავალი წერტილი გახდება დაკარგულ გავლენის აღსადგენად სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით. ვენის მნიშვნელობა წარსულში ამ მხრივ განმარტებას არ საჭიროებს.

იყო ერთი საშუალება, რომ ეს მიდრეკილება რამდენადმე მაინც შესუსტებულიყო: ოტო ჰაბსბურგის დასმა მამაპაპეულთა ტახტზე როგორც ვენაში, ისე ბუდაპესტში. მძლავრ უნგრელ ერის ავსტრიელებთან შეუღლება უთუოთ შექმნიდა ისეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც მეტის შანსით გაუმკლავდებოდა გერმანიის ცენტრშიმსწრაფ ძალას.—აქედან ჰიტლერის მტრობა ჰაბსბურგთა აღდგენისადმი. მაგრამ მცირე ატნანტიც ხომ სასტიკი წინაამდევი იყო, რასაც თითქო ნანობენ პრაღაში!

#### ჰიტლერის მეთოდი.

7 მარტი უთუოთ გადამწყვეტ თარიღად შევა ისტორიაში. ამ დღეს ჰიტლერმა თავის ჯარები შეიყვანა რეინის განიარაღებულ ზონაში და ერთი თოფიც არ გავარდნილა! რეზოლიუციები კი იყო, რა თქმა უნდა, ლონდონში და ქენევაში, მაგრამ მათი უძლიურება ხომ იტალიამ დაამტკიცა აღმოსავლეთ აფრიკაში, და ეს უკვე 7 მარტის წამქეხებელი იყო, როგორც ვიცით.

ამას წინად ლონდონში მომხდარმა სამი ლოკარნელ სახელმწიფოს თათბირმა, თუ გნებავთ, დადასტურა არა მარტო რეინის დაკავება, არამედ გამაგრებაც. ინგლისის განთქმული ქესტიონერი უპასუხით დარჩა და ამას უკვე შეურიგდენ, არაა ლაპარაკი სანქციებზე, პირველყოფილ მდგომარეობის აღდგენაზე, არაფერს ადგენენ, გარდა კონფერენციის მოწვევისა, რომელზედაც გერმანიას და იტალიას



ეპატიუებიან იმ განზრახვით, რომ ახალი ლოკარნოს პაქტი დასწერონ უკვე გაუქმებულის მაგიერ.

ეს კი, როგორც ხედავთ, ჰიტლერის მეთოდის გამარჯვებას ნიშნავს. რაში მდგომარეობდა ის? ძველი ლოკარნო—ამბობდა ჰიტლერის ნოტა 31 მარტს—ჩემს ადრე რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთ დახმარების პაქტმა გააუქმა, დაგწეროთ ახალი ლოკარნო და ძველ ხუთ მონაწილეს, თუ მოისურვებთ, ერთი ახალიც მივუმატოთ—პოლანდია, და მით უზრუნველყოთ ზავი დასავლეთით; რაც შეეხება აღმოსავლეთს, მე მზად ვარ ყველა მეზობლებს თავდაუხმელობის პაქტზე მოვუწერო ხელი სათითაოთ, მაგრამ კოლექტიურ პაქტის მე წინააღმდეგი ვარ.

კოლექტიურ პაქტს მხარს უჭერს საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, მცირე ანტიანტი, ბალკანეთის ბლოკი; მისი წინააღმდეგია. გერმანიის გარდა, იტალია, პოლონეთი, უნგრეთი, ხოლო ინგლისი თითქო ორად არის გაყოფილი: მართველი პარტია კონსერვატორებისა უფო გერმანიის მეთოდს სთვლის მიზანშეწონილად, მაშინ როდესაც ტრავაისტები-საფრანგეთისას.

თუ გავიხსენებთ, ერთის მხრით, რომ ლონდონის თათბირზედ იტალიამ არ მოისურვა დასწრება გერმანიის დაუსწრებლად და, მეორეს მხრით, მონტროში თავი იჩინა ინგლის-რუსეთის ძველმა ანტი-გონიშმა, ცხადია, ხუთთა მომავალ კონფერენციას ნაკლები შანსი აქვს შეჩერდეს კოლექტიურ ზავზე-უკეთეს შემთხვევაში, მიღწეულ იქნება საშუალო გამოსავალი: ჯერ დასავლეთის დაზავება, შემდეგ აღმოსავლეთის. ერთა ლიგის საშუალებით, რომელსაც გერმანია უნდა დაუბრუნდეს და ამისთვის ინგლისი თითქო მსხვერპლს არ ერიდება.

წარმოდგენილი გაქვთ, რა ციებ ცხელება იპყრობს კრემლის სტუმრებს! მათ ხომ იციან, სანამ ერთა ლიგა საყოველთაო ზავის უძლევი თავდები გახდება, ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის ყენევის ტბაზედ. ამას ზედ დაურთეთ საშინელი სამოქალაქო ომი ისპანიაში, სადაც ერთი მხარე აშკარად აცხადებს კომინტერნის დამრღვევ მუშაობას მის გამოსვლის უშუალო მიზეზად. როცა ამას ვწერთ, სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ, ვის მხარეზედაც არ უნდა დარჩეს გამარჯვება, შედეგები დიდი ექნება მთელს ევროპაში.

ყველაზე წინ ამას გრძობენ საფრანგეთში, სადაც იგივე ხალხოსნური ფრონტი უდგას სახელმწიფოს სათავეში, როგორც ისპანიაში. იენის-ივლისის რევოლუციური მიღწევანი მხოლოდ საგარეო უზრუნველყოფით შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს. მაშასადამე, სტალინის მაკიაველური ხერხი—წაახშობოს საფრანგეთი გერმანიას—ვერ გასჭრის ალბად და დასავლეთის დაზავებით შესაძლოა აღმოსავლეთით სიკვდილის აჩრდილი აღიმართოს.

### 28 მაისი პარიზში

პარიზის ქართველთა ასოციაციამ წელსაც გადაიხადა ტრადიციული 26 მაისი. დღესასწაული მოწყობილი იყო ჰაერო-კლუბის დიდ დარბაზში.

დღესასწაულს ქართველ საზოგადოების გარდა დაესწრენ ჩვენი მეზობლები, უკრაინელები, თურქესტანელები და სხვა უცხოელები, მათ შორის ჩვენი ფრანგი მეგობრები.

დღესასწაული მოკლე სიტყვით გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ დ. სხირტლაძემ, რის შემდეგ სოშოლამ ჩამოსულმა ქართულმა ხორამ ბ-ნ შენგელის ლიტბარობით შესრულა ეროვნული ჰიმნი «დიდება» და სხვა ქართული სიმღერები.

დღესასწაულს დაესწრენ ყოფილი მთავრობის წევრები ნ. ჟორდანიას მეთაურობით და თითქმის ყველა ქართველი პოლიტიკური მოღვაწე.

დასასრულ გამართა ქართული და ევროპიული ცეკვა. ზეიმმა გასტანა ღამის 1 საათამდე.

### 26 მაისი პრალში

მრავალრიცხოვანი სტუმრების თანდასწრებით გადავიხადეთ დამოუკიდებლობის წლის თავი.

ჩვენ ეროვნულ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირში მოქცეულ ყველა იმ ერების და პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც დღეს დღეობით პრალაში სარგებლობენ პოლიტიკურ თავშესაფარს, როგორც ემიგრანტები: მთიელები, უკრაინელები, ბელორუსები, ყაზახები და სხ. დღეობას დაესწრო რამდენიმე ჩეხი, მათ შორის სენატის თავმჯდომარე ფრ. სოუკუპი. საზოგადოების თავმჯდომარე ვლ. ინჭკირველი ტრადიციულად ქართულ ენაზე ხნის ზეიმს და ქ-ნ. აიოლო ასრულებს ეროვნულ ჰიმნს.

საზეიმო სიტყვას ამბობს ემ. ლომთათიძე, რომელიც უმთავრესად ჩერდება ყველა იმ დადგენილებებსა და რეზოლიუციებზე, რომლებიც ამ 15 წლის განმავლობაში მიუღია ერთა ლიგას თუ სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოდ. სწორედ ერთა ლიგის და იმ სახელმწიფოთა, რომლებიც დაინტერესებულია ომის თავიდან აცილებით, სასიცოცხლო ინტერესს წარმოაოგენს, აიძულონ ერთი უდიდესი მათი წევრი და მოკავშირე—რუსეთი—შეასრულოს საქართველოსთან 7 მაისს 1920 წ. დადებული ხელშეკრულება და მით საფუძველი ჩაუყარონ საერთაშორისო ხელშეკრულებების და ნორმალური ურთიერთობის მოწესრიგებას იქიდან, საიდანაც მისი დარღვევა ყველაზე უწინ დაიწყო. ეს სამართლიანობის აქტი. ჩვენის აზრით, ამბობს მომხსენებელი, იქნება ის გამოსავალი წერტილი, რომელსაც შეუძლია კაცობრიობას ააცილოს საბედისწერო მეხი,—ომი ერთა შორის, ომი სამოქალაქო თვით ერებში.

შემდეგ ის მოწიწებით მოიხსენიებს ჩეხოსლოვაკიის პირველ პრეზიდენტს თ. მასარიკს, რომელიც შევიდა რა ისტორიაში განმათავისუფლებელის სახელით, დღეს წარმოადგენს კერძო მოქალაქეს. მიესალმება სახელმწიფოს ახლად არჩეულ მეთაურს, მეორე პრეზიდენტს—ბენეშს და განაგრძობს: ბუნებრივია, რომ დღეს ყველა ადგილებიდან ქართველი კაცის სალაში მიქრის დიდი რევოლუციის ქვეყნისაკენ, რომლის სატახტო ქალაქში—პარიზში, ცხოვრობს, როგორც ემიგრანტი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ნ. ყორდანიანი. ამ ადამიანს ბედმა არგუნა 18 წლის წინდ ჩაეწერა საქართველოს ისტორიაში ჩვენი ერის ერთი უდიდესი აქტთავანი ვისურვოთ, რომ მისი სიცოცხლე გავრძელებულიყოს იმ ბედნიერ დღემდის, რომლის ღირსი არის მისი სამშობლო. ამ სიტყვებს მთელი კრება ეგებება მსურველე ხანგრძლივი ტაშით.

ფრ. სოუკუპი თავის სიტყვას იწყებს: ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ პირად ვმცნობ ნ. ყორდანიას და მაქვს საშვალეება მასთან შეხვედრის და ბაასის. წელსაც რამდენიმე თვის წინდ ჩემი პირველი გზა პარიზში ჩასვლისას იყო ყორდანიას უბრალო ბინისაკენ. ეს ადამიანი ჩემზე ყოველთვის უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს და ის მე მაგონებს ჩვენ პრეზიდენტს მასარიკს. ჟემმარიტად ქართველი ხალხისთვის დიდ საამაყო ბედნიერებად ჩათვლება, რომ მან მისი თავისუფლების დროს, თავისუფალი არჩევებით თავისი მეთაურობა ნ. ყორდანიას მიანდო. თქვენ ამბობთ, რომ მასარიკი თქვენც გეკუთვნის, როგორც უდიდესი მასწავლებელი, ჩვენ გიპასუხებთ, რომ ყორდანიაც ჩვენ გვეკუთვნის, როგორც ევროპის ერთი დიდი პიროვნებათავანიო. ორატორი არჩევს თანამედროვე მომენტს, ჩერდება ომის საშიშროებაზე, მიაჩნია ის დიდი კატასტროფების მომასწავებლად და ამბობს, რომ ორი ათასი წლის კულტურის მქონე საქართველო ერთ დროს გავა სამშვიდობოზე და მართალი არის ლომთათიძე, როცა მისი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას სთვლის ეპიზოდად. ჩვენ კი ჩვენის მხრით გპირდებით, რომ საჭირო და ხელსაყრელ მომენტში სრულ ჩვენ გავლენას მოვახმართ, რომ თქვენი საქმე ბედნიერად დაგვირგვინდესო.

მოსალაცი სიტყვებით გამოდიან უკრაინელები, ბელარუსები, ყაზახები და უსურვებენ საქართველოს 26 მაისის დაბრუნებას; უკრაინელი პროფ. ომელჩენკო ნატრობს რომ საქართველოსთვის—ტარიელისთვის, უკრაინა გამხდარიყოს ავთანდილად. გრ. აიოლო სამადლობელი მიმართვით სტუმრებისადმი ათავენს ზეიმს.

ემ. ლ—ძე.

### კავკასიის დენსასწაული

წელს მეთვრამეტე მაისი მიიწურა, რაც კავკასიის ერებმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს; ეროვნულ ცხოვრების სვებედი საკუთარ ხელში აიღეს და თავისუფალ ერთა ოჯახში ფეხი შესდგეს. გასაგებია, რომ ამ ისტორიულ დატას კავკასიის ერები—შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და არაქსიდან ჩრდილოეთ კავკასიის გაშლილ ველებამდე—იდუმალი გრძნობებით იგონებენ; მასში წარსულის სიდიადეს ხედავენ და მომავლის იმედებს ეაღვრებიან.

წარსულში ცალცალკე დგომით დამარცხებულნი—მომავალში ერთად დგომით აღდგენას ამზადებენ. ამ იმედების დემონსტრაცია იყო მიმდინარე წლის 24 მაისს პარიზში გამართული საერთო კავკასიური დენსასწაული.

ჰენრი მარტენის დარბაზი ხალხით საესეა. ზეიმს თავმჯდომარეობს ადერბაიჯანის ეროვნულ ცენტრის თავმჯდომარე ბ.ნი რასულზადე. ის მოკლე და მგრძობიარე სიტყვით მიმართავს დამსწრეთ და მოაგონებს წარსულ გმირულ ბრძოლებს ეპიზოდებს და ხაზს უსვამს კავკასიის მთლიანობას, როგორც თავდებს გამარჯვებისას. და ბოლოს მოუწოდებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას.

საქართველოს ეროვნულ ცენტრის სახელით ვრცელ და შინაარსიან სიტყვას ამბობს საქ. ყოფილი ელჩი ბ. აკ. ჩხენკელი. ხაზს უსვამს საერთაშორისო მდგომარეობის სირთულეს და დაასკვნის: «კავკასიის ერებს დღეს ვინემ ოდესმე სჭირიათ მთლიანობა და სიმტკიცე. ერთა საპყობილო—საბჭოთა კავშირი—ვერ გაუძლებს ისტორიულ განცდებს და მზგავსად ცარიზმისა ის დაიმხვრევა გარეშე და შინაგან ძალთა სიმძიმის ქვეშ. ხოლო კავკასიის ერები კი კვლავ ააფრიალებენ თავისუფლების და ძმობის დროშას. ეს უამი არც ისე შორს არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ»-ო, მქუხარე ტაშის ქვეშ ამთავრებს ორატორი.

ადერბაიჯანის სახელით სიტყვას ამბობს ბ. მირიაკუბი. ის თავის მოხდენილ სიტყვაში აღნიშნავს კავკასიის კონფედერატულად შეკავშირების ისტორიულ მნიშვნელობას, გაერთიანებულ კავკასიის გადაჭრილ ნებისყოფას—იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. «კავკასია მტკიცე და მთლიანი ლახვარია მტრისათვის—დაასკვნის ორატორი—ჩვენ ამ მთლიანობისათვის ვიმუშავებთ ბოლომდის და მტერს მისი გატეხის საშუალებას არ მივცემთ. გაუმარჯოს კონფედერატულ კავკასიას! გაუმარჯოს თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირს!» (საერთო ტაშში).

სიტყვა ეძლევა მთის წარმომადგენელს ბ. ჩულიკს. ის მოუთხრობს დამსწრეთ ამაყ მთის ხალხის გმირულ ბრძოლებს ოკუპანტების წინამდევ და დაასკვნის: «მთა კვლავ იბრძვის თავისუფლებისათვის. შამილის ლეგენდარული აჩრდილი კვლავ დანავარდობს ჩვენი მშობლიურ მთების მწვერვალებზე



და ერთგულ შვილთ ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მთა კავკასიის კონფედერაციაში ხედავს თავისი ბედის გასაღებს, ის თავის თავს მის ერთგულ ჯარისკაცად სთვლის. და როდესაც დაჰკრავს თავისუფლების ზარი მთა ბართან იქნება და მოსულ მტერს გზას ჩაუკეტავს» (საერთო ტაში).

ბ. რ. ზადე კითხულობს მოლოცვის წერილებს: უკრაინის დელეგაციისაგან, უკრაინის, თურქესტანის და კავკასიის მეგობრობის საზოგადოებისაგან. სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარის ბ. ხატისოვის თბილ მოლოცვის წერილს, რომელშიაც ის გამოსთქვამს მწუხარებას, რომ სომხეთის ნაციონალურ გმირის ანდრონიკის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ ერების გამო მას არ აქვს საშვალეობა პირადად დაესწროს კავკასიის ერთა დღესასწაულს.

სიტყვა ეძლევა ყაზახობის წარმომადგენელს ბ. ბოლის. ის თავის მოკლე და მოხდენილ სიტყვაში, რასაც დამსწრენი ხშირად ტაშით აწყვეტინებენ, ხაზს უსვამს ზეიმის ისტორიულ მნიშვნელობას და ამბობს: «წარსულში კავკასიის ერებში ყაზახობას, ცარიზმის მუხანათური პოლიტიკის წყალობით, ცუდი სახელი ქონდა, მაგრამ დღეს, საბედნიეროდ, მთელი ყაზახობა კავკასიის თავისუფლების მოყვარულ ერებთან არის და თქვენთან ერთად გადაწყვეტილი აქვს, იყოს თავისუფალი და თქვენი კეთილი მეზობელი. გაუმარჯოს თავისუფალ კავკასიას!» («გაუმარჯოს თავისუფალ ყაზახობას» — გაისმის შეძახილი დამსწრეთაგან).

მგრძობიარე სიტყვით მიესალმება კავკასიის გაერთიანებას პარიზის უკრაინელთა კოლონიის თავმჯდომარე ბ. მ. ერემევი.

ბ. რასულ ზადე უკანასკნელ სიტყვაში მადლობას უტყვადებს უცხო სტუმრებს და დამსწრეთ და ამბობს: «კავკასიის ბედი თვით კავკასიელთა ხელშია. მწარე წარსულმა მას ბევრი რამ ასწავლა და მომავალი ფართე გზა გაუხსნა. თუ ის დანაწილებული რუსეთმა ადვილად დაიპყრო, გაერთიანებული ისევე ადვილად აღსდგება. ამ ერთობისაკენ მოუწოდებს კავკასიის ერებს კონფედერაცია. შემოვკრბეთ მის ირგვლივ; გავამაგროთ ის და ერთად დგომათ სახლში შემოჭრილი მტერი გავდევნოთ.

გაუმარჯოს კავკასიის მთლიანობას!

გაუმარჯოს კავკასიის თავისუფალ კონფედერაციას!»

ზეიმის დამთავრების შემდეგ დამსწრეთა ნაწილი გაეშურა უკრაინელების სხდომაზე, რომელიც გაიმართა ამავე დღეს ნაშუადღევს 5 საათზე უკრაინის ნაციონალურ გმირის სიმონ პეტლიურას ხსოვნის საპატივცემულოდ.

წერილი ამერიკიდან

უკვე განსვენებულმა და ცნობილმა კომედიანტმა ვილ როჯერსმა რუსეთიდან დაბრუნებისას იოხუნჯა: «ვინც იტყვის, რომ რუსეთის მდგომარეობა ვიციო—ის გიყვების სახლში უნდა იქნეს დამწყვედიულიო». ეს აზრი ვინმემ რომ გაანხორციელოს, ბევრი დიდი სახლი იქნებოდა საქირა... ვინ არ ამბობს—ვიციო, ვინ არ სწერს, რომ სიმართლეს მხოლოდ მე ვამბობო. ბევრი ამერიკელი «მწერალი» აქვეყნებს ცნობებს საბჭოების ქვეყანაზე. ზოგიერთს სიმართლე აინტერესებს, ზოგს ფული (ასეთი თვალსაზრისი ამერიკაში გასაკვირი არაა), ზოგსაც სახელი, რომ «მწერალია» (ამერიკაშიც არიან ასეთები). ვინც თვალს გადაავლებს გასული წლის აქაურ ლიტერატურას რუსეთის შესახებ, დაგვეთანხმება, რომ ასეთი კლასიფიკაცია მრუდე არ იქნება. მეორე ნაირი დაყოფა «მწერალთა» შეიძლება იმის მიხედვით, თუ ავტორები იქ, საბჭოთა რუსეთში, არიან დღეს, თუ სამუდამოდ გამოეთხოვეთ იქაურობას და დაბრუნების სურვილი ან «შანსები» არ აქვთ, სანამ დღევანდელი პოლიტიკური «წესწყობილება» იქ არსებობს...

აქვერ შევეხებით პატარა ნაწერებს. მოვიხსენიებთ ზოგიერთებს, რომელნიც ზომით არა ნაკლებ სამასი გვერდისა არიან (ამერიკელებს ძალიან უყვართ ზომის დაწონის ხმარება: «ჩემი შვილი ორასი გირვანჯაა, ის სიმალლით შვიდი მტკაველია, და სხვა...).

პირველად ამ დიდთა კატეგორიაში მოხდება ცოლქმარ ვებბების ორ ტომიანი წიგნი სათაურით: «საბჭოების კომუნიზმი: ახალი ცივილიზაცია?» 1.174 გვერდი.

სიდნეი (ქმარი) და ბეატრისი ვებბ ალბად ეკუთვნიან იმ ძველ ბერძენთა ფილოსოფოსებს, ვინც ფიქრობდენ: «ყველაფერი, რასაც ვხედავთ—ეს არ არსებობს, ეს მხოლოდ ჩვენი წარმოდგენაა ამ საგნის...» რომ ვებბებს მართლაც ფილოსოფიური ნიჭი აქვთ, ამას მათი მოწინააღმდეგენიც აღნიშნავენ. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ—მათი ფილოსოფია მხოლოდ მათი წარმოდგენაა რუსეთის, ის, როგორც უნდათ იყოს რუსეთი და არა ის, რაც სინამდვილეშია. აი მაგალითად, თურმე ვებბების აზრით რუსეთში დიქტატორობა არ არის («არამედ სულ წინამდევნი დიქტატორობისა». სტალინი თურმე დიქტატორი არ არის, რადგან ის, «არაა დაყენებული კანონის ძალით ვისმე მიერ თავის მოძმე მოქალაქეების ბატონად...» თურმე არც კომუნისტური პარტია ყოფილა დიქტატორი... და სხვა ასეთს ფილოსოფიურ მარჯალიტებს იპოვით ვებბების წიგნში. რაც შეეხება რუსეთის «სინამდვილეს» აღწერას, უნდა ითქვას, რომ ვებბებმა მხოლოდ რამდენიმე კვირით გაისეირნეს რუსეთში და მასთან თურმე არ იციან რუსული.

უფრო საინტერესო უნდა იყოს იმ ავტორების ნაწერები, ვინც ათ წელზე მეტი არიან რუსეთში, მაგალითად ვოლტერი დურანტი და ლუიზ ფიშერი.



დურანტის წიგნი საინტერესოა თუნდაც იმ მხრით, რომ სულ მოკლე ხანში მეთე გამოცემა გამოვიდა. ეს გარემოება სამი მიზეზით აიხსნება. ერთი, დურანტი არის კორესპონდენტი უდიდესი გაზეთისა დედამიწის ზურგზე—«ნიუორკის ტაიმსის»-ს და ამ გაზეთში მისი წიგნი კარგად არის გამოცხადებული. მეორე, თუთხმეტი წელიწადია, რაც ის რუსეთშია და ყველა ფიქრობს, დროა რამე იცოდეს იქაურ მდგომარეობაზე, და მესამე მიზეზი ამ წიგნის გავრცელებისა თვით წიგნის მომხიბლავი სათაურია: «მე ვწერ ისე, როგორც მსურს». ბევრს ეგონება, სანამ წიგნს წაიკითხავდეს, რომ ალბად დურანტი ახლა სიმართლეს ამბობს იმ მისტიურ ქვეყანაზე. მაგრამ მკითხველს არ სჭირია დაასრულოს 360 გვერდიანი წიგნი. რათა დარწმუნდეს, რომ დურანტი არაფერს ამბობს. წიგნი თავიდან ბოლომდე გავსებულა ლაცობით. ეს უფრო საკუთარი პიროვნების აწერა, ვიდრე რუსეთისა. აქ არის ნათქვამი, როგორ პატარაობაში ბებია (დიდვდას) ტყუილებს ეუბნებოდა (რომელი სენიც ახლაც შერჩენია), აქ არის ნათქვამი, როგორ საფრანგეთში რკინის გზაზე ფეხი მოიტეხა და ესლა ხის ფეხი აქვს და ათი ათას დოლარს ღებულობს წელიწადში... რუსეთის შესახებ მას შეუთვია სება ბოლშევიკ მწერლების ჩვეულება: თუ ოდესმე რამე სიმართლე წამოცდა, მერე ნანობს და თავს იწყალავს ბოლშევიკურად: «სულელი ვიყავი, როცა ეს და ეს წამოვროშე»-ო.

ამ წიგნის მე-148 გვერდზე თვით დურანტი ამბობს: «მე ვხვდავ, რომ ამ წიგნის სათაური—მე ვწერ ისე, როგორც მსურს—შეცდომაში შემყვანია. ეს თითქოს იმას ნიშნავდეს, რომ ვწერ წიგნს—ახლა შეიძლება ითქვას სრული სიმართლე საბჭოების რუსეთზე,—ნამდვილად კი საბჭოების ქვეყანაში დავრწმუნდი, რომ სანამ აქა ვარ, ვერ დავწერ იმას, რაც მსურს»-ო.

თუ ამ განცხადებით დურანტი მართალს ამბობს, მაშინ ყველაფერი, რასაც საბჭოებზე სწერს, ტყუილი ყოფილა. ამის შემდეგ წიგნიდან რამე სხვა ციტატის მოყვანა უმნიშვნელო იქნებოდა. როგორც გამოჩინების მოვითქვანთ მხოლოდ ერთს: «შობას, 1933 წელში ინტერვიუს დროს სტალინმა მითხრა—თქვენ თავიდან ჩვენ ცხენზე დადევით სანადლეო, როცა სხვებს ეგონათ წავაგებდითო,—სტალინი მართალი იყო; როცა ცოტაოდენად რუსეთს გავეცანი, გადავწყვიტე ბოლშევიკები გაიმარჯვებნთქვა. მერე ვეცადე, მეფიქრა ისე, როგორც ნამდვილი სტალინისტი ფიქრობს და კიდევაც მიხანს მივიღწიე, მაგრამ გადავაპარბე»-ო. გულახდილობა თუ სულელობა უფრო შორს ვერ წავა!

ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკების სასარგებლოდ დავიწყე წერა, რადგან ვიცოდი ისენი გაიმარჯვებდნენ; გამარჯვების შემდეგ ტყუილებს იმიტომ ვწერ, რომ სიმართლის თქმას ვერ შევსძლებ—სტალინის მუხრუჭების მეშინიაო...

არავინ იფიქრებს, დურანტი ბოლშევიკებს ან მათ სისტემას აქებდეს. მისი ცოდვა ისაა, რომ ცდილობს, მათი მოქმედება გაამართლოს. არა ერთჯერ უთქვამს: ბოლშევიკების სისტემა მხოლოდ რუსე-

ბისთვის არის შესაფერი, დასავლეთ ევროპისთვის არ ვარგაო.


დურანტის წიგნის მსგავსია ლუიზ ფიშერის წიგნი «მოგზაურობა საბჭოებში». ფიშერი ნიუორკის ქურნალ «ნაციო»-ს კორესპონდენტი, ათ წელზე მეტია, რაც რუსეთშია. თავის წიგნში ფიშერმა ოცი გვერდი დაუთმო საქართველოს. იქ ყოფილა 1924, 1928, 1932 და 1935 წლებში მისი ცნობები საქართველოზე «მეგობარ კომუნისტებისთვის არისო», განსაკუთრებით «არემიერ გერმანე მგალობლიშვილისაგანო». სხვათა შორის უკანასკნელს უთქვამს: როცა დასავლეთ საქართველოს გლენობა ღარიბად ცხოვრობდა; ბოლშევიკების წინამძღვე იყო; როცა ჩაი დავათესიეთ და გავამდიდრეთ, ჩვენთან არიანო (!?)»...

ტფილისზე ფიშერი ამბობს: «აქ ნაკლები შენებაა, ვიდრე საბჭოების სხვა რომელიმე ქალაქში. ხალხის სულიკვეთებაც საკვირველად არა საბჭოურია. ქალაქი გამოიყურება ზარმაცად და უმოძრაოდ. ქართველები არიან ღამაზი, ღვინის მსმელი, სიამოვნების მოყვარე ერთი და იმდენად მოამაყე თავის ძველი წარსულით, შთამომავლობით და კულტურით, რომ ფიქრობენ, შეუძლიათ მოისვენონ თავის ნიხბებზე (ამერიკული გამოთქმა), როცა საბჭოების სხვა მხარეები წინ მიდიან»-ო.

ყველაზე უფრო სერიოზული და საყურადღებო წიგნი რუსეთის საკითხზე არის ვილიამ ჩამბერლენის «რუსეთის რკინის ხანა». ჩამბერლენი ცხოვრობდა რუსეთში 12 წელიწადს, როგორც უფროსი კორესპონდენტი «ქრისტიან საიენს მონიტორის». მას აქვს რამდენიმე ნაშრომი რუსეთის შესახებ, მათ შორის ორ ტომიანი «რუსეთის რევოლუცია», რომლის სწორი ჯერ არავის გამოუშვია (ტროცკის ისტორია ამასთან შედარებით ცალმხრივია). «რუსეთის რკინის ხანა»-ში ჩამბერლენი დაკვირვებით და შინაარსიანად აგვიწერს საბჭოების რუსეთის მდგომარეობას. წინამძღვე დურანტის და ფიშერისა, რომელთა რუსეთის ხალხის მდგომარეობა არც აცხელებს და არც აცივებს, ოღონდ არ დაჰკარგონ თავისი თანამდებობა,—ჩამბერლენი დიდი სიმპატიით ეპყრობა რუსის ხალხს (მისი ცოლი რუსის ქალია), რომელიც იტანჯება მისი მთავრობის დიქტონითო.

ასეთი დიდი წიგნის შინაარსის გადმოცემა მოკლედ შეუძლებელია, რადგან აქ მჭერმეტყველურად გადმოცემულია მთელი რუსეთის 18 წლის ტრადეცია, ახსნილი და ისტორიული პარალელებით. ვეცდებით ნიმუშად ზოგ ადგილი მოვიყვანოთ.

ჩამბერლენი ადარებს ბოლშევიკების რეჟიმს ძველი რუსეთისას: «ბევრს ჰგონია, რომ საბჭოების სისტემა სრულებით ახალია. პირიქით ძალიან ძველია და მამაპაპური. ერთი, როგორც პიროვნებაში, წარსული სტრუქტურა ამოუშლელ კვალს. რაც უფრო დიდხანს ვიცხოვრე საბჭოებში და რაც უფრო მეტად შევისწავლე, უფრო დავრწმუნდი, თუ რამდენად არიან გამსჭვალული დღევანდელი მართველები რომანოვების ან კიდევ მათი წინაპრების მართველების მეთოდებით. პარალელისთვის მივმართოთ იმპერატორიცა ანნას დროის რეჟიმის აღწე-



რას კლიუჩევსკის მიერ: შპიონაჟი იყო მეტად გამეფებული ფორმა სახელმწიფო სამსახურისა; ვინც საშიში იყო ან საეჭვო, საზოგადოებას ამორებდნენ. ხშირი იყო მასიური გადასახლება. ანნას დროს გადასახლეს ციმბირში ოცი ათასზე მეტი. მხოლოდ არაფინ იცის, სად იყო გადაგზავნილი 5.000 სულიო... ასეთი იყო რუსეთი 1.730 წელში და სწორედ ასეთია რუსეთი დღეს—ორასი წლის მერე. მხოლოდ გადასახლებულთა პროპორციამ იმატა მცხოვრებთა გაზრდის მიხედვით»-ო, უმატებს ჩამბერლენი. ზოგიერთებში საბჭოებმა წინაპრებს გადააქარბესო. ის ადარებს „1932-1933 წლ. შიმშილობას ბორის გოდუნოვის დროს 1602-1603 წლ. შიმშილობას. ბორის გოდუნოვის ბიოგრაფიიდან ჩამბერლენს მოჰყავს: «შიმშილობამ მოიტანა მათხოვრობა და უბედურება; გოდუნოვს ეშინოდა, ხმა საზღვარ გარეთ არ გასულიყო; ამიტომ მოაწყო კმაყოფილების პარადები უცხოელ საელჩოების წინაშე... აკრძალული იყო ძონძებში ქუჩაში გამოსვლა, აგრეთვე ლაპარაკი უცხოელებთან, რომ არ გაეგოთ, რა უბედურება დაატყდა რუსეთს»-ო. დღეს მდგომარეობა საბჭოთა ქვეყანაში ნამდვილად ასეთიაო, ამბობს ჩამბერლენი და განაგრძობს: მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ «საბჭოების მთავრობამ შიმშილობა განზრახ იხმარა როგორც უკანასკნელი იარაღი გლეხობის წინამდევობის გასატყაო. პოლტავის საბჭოს პრეზიდიუმმა მაცკიევმა თვითონ მიითხრა მეო: სახლვარ გარედან რომ პური შემოგვეტანა, ქვეყნის თვალში ჩვენი პრესტიჟი დაეცემოდა, რომ რუსის გლეხისთვის პური შეგვეტანა, მიწის დამუშავებას მოუწყობოდა».

თვით კალინინმა ასეთი დასკვნა გაუკეთა უკრაინის და ჩრდილო კავკასიის შიმშილობასო: «კოლექტიურმა ფერმებმა ამ წელს გაიარეს ძალიან კარგი სკოლაო. ზოგიერთებისთვის ეს სკოლა იყო მეტად უმომწელო, მაგრამ კარგი გაკვეთილიო»...

დღევანდელ მუშების მდგომარეობის შესადაობლად ჩამბერლენს მოჰყავს ტუგან ბარანოვსკიდან: «პეტრე დიდის დროს მუშები მიმაგრებულნი იყვნენ ქარხნებზე ათი წლის ვადით; ფაბრიკატები და საქონლის პროდუქცია იყო მეტის მეტად ძვირი და ნამეტანი ცუდი ხარისხისაო. მიუხედავად საბჭოების სიმკაცრისა და ქარხნების გამგეთა ხვრეტის მდგომარეობა დღეს არ შეცვლილაო; საქონელი უფარისია, და რაც შეეხება მუშების თავისუფლებას—არსად და არასოდეს არ ყოფილა პიროვნების თავისუფლება ასე შეზღუდული როგორც არის დღეს საბჭოების სამეფოშიო. თურმე თქმულებაა: «რუსეთში ყველა ან ყოფილა ან იქნება ციხეშიო». შიმშილობის შესახებ გულდაწყვეტით ოხუნჯობენ: «პუგერმა ამერიკელებს ასწავლა როგორ არ სვან, სტალინმა კი გვასწავლა, როგორ არ ვკამოთო».

ჩამბერლენი ადარებს ძველს არამც თუ მთავრობას, არამედ მშუხარებით აღნიშნავს საშუალო საუკუნის პარალელს დღევანდელ საზოგადოებასთან. ალექსეი ტლალსტოის წიგნის «კინაზი სერგბრინი»-ს წინასიტყვაობიდან მოყავს ავტორის სიტყვები: «მე აღმოვთვლი ვაგდებ ძირს ჩემს კალამს,

არა იმის მოგონების გამო, რომ ივანე მრისხანეს შეეძლო არსებობა, არამედ იმიტომ, რომ შეეძლო არსებობა ისეთ საზოგადოებას, რომელიც მას აუღმყოთებლად უყურებდაო».

პრეზიდენტმა რუხველტმა ხელშეკრულობაზე ლიტვინოვს ხელი მოაწერია პირობაზე, რომ ამერიკელებს შეუძლიათ თავის ეკლესია იქონიონ—ასეთი ხელშეკრულობა რუსეთს და გერმანიას შორის საშუალო საუკუნეებში იყო დადებულიო... ძველი რუსეთი გამოიციქირება ბოლშევიკების ნიღაბიდან—სწორედ მათხეა ნათქვამი ფრანგული ანდაზა: «რამდენად უფრო იცვლება, იმდენად უფრო იგივე რჩება»-ო.

ნაური.

### საქართველოს საკითხი

მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესმა კარდიფში, რომელიც შესდგა პირველ პაცივისტურ საზოგადოების დაარსების 120 წლის თავზე. სხვათა შორის საქართველოს შესახებაც მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

მე-31 სამშვიდობო კონგრესი, იღებს რა მხედველობაში, რომ ს.ს.რ. კავშირი მიღებული იქმნა ერთა ლიგაში ლოკარნოს კონგრესის გათვალისწინებულ პირობების თანხმად, რომ ერთა ლიგა ემყარება ერთა სრულ თვითგამორკვევას, რომ ეს პრინციპივე უდევს საფუძვლად თვით ს.ს.რ. კ-ს, რომელიც 1920 წ. 7 მაისს საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულობით იცნო უკანასკნელის დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და აღიარებს რა, რომ წინამდებ ამ ხელშეკრულობისა და ამ პრინციპისა დაკავებული აქვს ს.ს.რ. კავშირს დღეს საქართველო, და რომ ერთა ლიგის მთავარი მიზნის—მშვიდობიანობის დაცვის—განხორციელება შეუძლებელია, თუ არ იქმნა დაცული ხელშეკრულობანი და საერთაშორისო სამართალი,

სამშვიდობო კონგრესი მოიგონებს თავის წინანდელ რეზოლუციებსა და დაჟინებით სთხოვს ერთა ლიგას მიიღოს ზომები, რათა მოისპოს საერთაშორისო უფლების საწინამდებო მდგომარეობა და მოუწოდოს ს.ს.რ. კავშირი დაუბრუნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უფლებები, რომლებიც მას ეკუთვნის როგორც სუვერენულ სახელმწიფოსს».

### უკრაინა და სოხუმების საკითხი

უკრაინის ეროვნული მთავრობის წარმომადგენელმა მოხსენება წარუდგინა მონტრეს კონფერენციის თავმჯდომარეს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ლოზანის კონფერენციამ დარდანელისა და ბოსფორის შესახებ მხედველობაში მიიღო უკრაინის და საქართველოს ინტერესები და ადგილიც დაუთმო მათ სრულტეების კომისიაში, დღეს კი მონტრეს კონფერენციაზე არაა მიწვეული არც ერთი და არც მეორე და მათი სახელით ლაპარაკობს ს.ს.რ. კავშირის წარმომადგენელი, რომელსაც ამის უფლება

სრულებით არა აქვს. მოხსენებაში შემდეგ ნაჩვენებია, რომ შავს ზღვას და სრუტეებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკრაინისთვის, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთი ნაპირები უმთავრესად ეკუთვნის უკრაინას, კავკასიას, კახაკებს, ყირიმს და თვით რუსეთს რჩება მცირე რამ ან სრულებით არაფერი.

უკრაინის წარმომადგენელი მოითხოვს, რომ დაცული იქნეს სრუტეების თავისუფლება, დაჩქარდეს არსებული კომისია და ამ კომისიაში კვლავ შეენახოს ადგილი უკრაინას და საქართველოს.

**კავკასიელთა დელეგაცია კრაკოვში**

მიმდინარე წლის 20 ივნისს ვარშავიდან გაემგზავრა კავკასიელთა დელეგაცია კრაკოვში მარშალ პილსუდსკის საფლავზე ვერცხლის გვირგვინის დასადებათ. გვირგვინი ჩამოსხმულია წმინდა ვერცხლისაგან და შესრულებულია მხატვრულად. შუაში ჩასმულია სამი ეროვნული დროშა «ემალზე» გამოხატული. გვირგვინის ვერცხლის არშიაზე შემდეგი წარწერაა:—ერთის მხრივ—«იოსებ პილსუდსკის»—მეორე მხრივ კი—«კავკასიელინი». გვირგვინის დადება დიდი ზეიმით მოხდა, რასაც მთელი რიგი პოლენური გაზეთების გამოცხადებულ და თბილი წერილები უძღვნეს, როგორც ამ აქტს ისე კავკასიის სეველს.

სრულ ინფორმაციას ამის შესახებ ჩვენ მოვთავსებთ შემდეგ ნომერში.

**ბრიუსელის ქართველების მოწოდება**

ბრიუსელში მყოფ ქართველთა კრება, რომელიც შესდგა 26 მაისის აღსანიშნავად, ერთმანდ მოუწოდებს მთელ დედამიწაზე გაფანტულ ემიგრანტს თანამემამულეებს: დროა შევივანოთ და დაუფიქრდეთ ჩვენს ეროვნულ მდგომარეობას. პარტიული ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობს, ემიგრაცია იშლება, მეტროპოლი ახალგაზნდობა, რომელიც საქართველოდან ეროვნული სულით გაქვლითილი გამოვიდა, დღეს ერთი მეორეს ემუქრება.

ნუ დაივიწყებთ, რომ ერთი, რომელსაც ერთ დროს მთელ აღმოსავლეთში ჰქონდა სახელი გავარდნილი და რომლის პირდაპირობა, რაინდობა, კეთილშობილობა, სტუმართ-მოყვარეობა, ეროვნული სიღამაზე დღესაც არ არის მთლად მივიწყებული, ეს ერთი განიცდის დღეს მწარე მონობას და დიდს გაჭირვებას...

ჩვენი მშობლები, რომელნიც ჩვენ შეგვხარიათ, მწარედ იტანჯებიან ფიზიკურად და სულიერად...

ქართველი მეტროპოლინი, რომელნიც შეუპოვრად სამშობლოს აღდგენისათვის იბრძვიან, ჩვენგან დახმარებას მოელოან...

ქართველი ერის კეთილდღეობისათვის აუცილებელია ყველა პარტიების მჭიდროდ დაკავშირება და გაერთიანებული ძალით ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მოქმედება.

დროა, ეს შევივანოთ.

კრების დავალებით შ. ჭაგურია.

**ნავაპოლის ინსტიტუტის კონკურსი  
ვაფხის-ტაშანისთვის**

ნავაპოლის «აღმოსავლეთის ენათა ინსტიტუტი» აცხადებს 1936 წლის 5 ივნისიდან მის მიერ დაწესებულ «რუსთაველის კონკურსის» პირობებს:

- 1) რუსთაველის პოემის გარშემო დაწერილი შრომა უნდა იქმნეს შედგენილი იტალ. ენაზე და შეიცავდეს არა ნაკლებ 150 გვერდისას, დაკტილოგრაფიულს. 2) სავალდებულოა სავსებით თარგმნა, პროზით, ვეფ.-ტყ.-ის შესავალის (ტ. 1-31), 1903 წ. გამოცემული დ. კარიჭაშვილის რედაქციის მიხედვით. 3) ფილოლოგიური ანალიზი ამ «შესავალი»-ს. 4) სრული შიხაარსის გადმოცემა «ვეფ.-ტყ.»-ის დამახასიათებლის ციტატებით. 5) გრძნობათა სხვადასხვაობა: სამშობლო, რელიგია, სიყვარული, პატიოსნება, სამართალი და სხ. 6) უმთავრესი აფორიზმები, გავლენა, სტილი და მნიშვნელობა რუსთაველის პოემისა. დანასკვები. 7) ბიბლიოგრაფია ევროპ. ენებზე.

უქანასკნელი ვადა შრომის წარდგენისათვის: 1937 წ. 30 ოქტომბერი.

ჯილდო საუკეთესო შრომისათვის 1000 იტ. ლირა.

**წერილი რედაქციის მიხართ**

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენს პატივცემული ორგანოს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ნიუორკის ქართველთა საზოგადოებას, რომელმაც კეთილ ინება და ბნ კვარაცხელიას საშუალებით \*) გადმოგვიგზავნა ასი დოლარი თურქეთიდან გადმოსახლებულ გაჭირვებულ ქართველთა დასახმარებლად. აგრეთვე ბ-ნ მ. სუმბათაშვილს, რომლისგანაც, იმავე მიზნით, მივიღეთ ორი ინგლისური გირვანქა.

ჩვენს უღრმეს მადლობას მიუძღვნით ბ. ხ. შავიშვილს, რომელმაც მსურველ მონაწილეობა მიიღო ჩვენს მდგომარეობაში და აქ, ათინაში მცხოვრებთ ჩვენ თანამემამულეთ ბ-ნ პ. ჩილინჯიშვილს და კ. სუჯაშვილს, რომელთაც დიდი მორალური თუ მატერიალური დახმარება გაგვიწიეს ასეთ დროს.

პატივისცემით, ყველას მონდობილობით  
გ. მაგალაშვილი.  
საბერძნეთი. 10 ივლ. 1936 წ.

\*) ბ. პ. კვარაცხელიას მიმართა, საბერძნეთში მყოფ ქართველთა სახელით, ბ. ვ. წულაძემ და მანვე გადაუგზავნა ქართველებს ასი დოლარი, მიღებული ნიუ იორკიდან ბ. ტარსაიძისაგან, ბ. ზ. ავალიშვილის სახელზე, რ ე დ.

უადგილობისა გამო ამ ნუმრისთვის დამზადებული «საბჭოთა კონსტიტუციის განხილვა» და სხ. წერილები გადაიღვა შემდეგისთვის.